დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)
სსიპ -ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ირმა ხმელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგ
მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი კუპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208145265

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
საფოსტო ინდექსი	0190
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 245 65 70 577127572

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 423 0000973906 08.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 4-5 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
2	საბაზო საფეხური	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10
3	საშუალო საფეხური	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი თბილისი ჯავახეთის II შესახვევი N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 4-5 სექტემბერს, სსიპ ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ირმა ხმელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგ
მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი კუპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4 სექტემბერს ZOOM-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიათან დაკავშირებით, ხოლო 5 სექტემბერს ZOOM-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-		

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება X	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1700	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სსიპ -ქალაქ თბილისი მე-145 საჯარო სკოლა მუშაობს ცვლებში, რაც იძლევა საშუალებას, მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 1700 მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სტანდარტი N1, სტანდარტიN2,სტანდარტიN4 და მეტწილ შესაბამისად შეაფასა სტანდარტი N3 შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში:
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1		*ხარვეზი*
ინდიკატორი 1.2.1.2		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდ მეორე სტანდრტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას არ აქვს შემუშავებული 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისობის გეგმით სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 15.09.2023) 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება,სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, პედსაბჭოს სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას არ წარმოუდგენია 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 15.09.2023) სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება,სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, პედსაბჭოს სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას შემუშავებული არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 31.08.2023) შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების წესის შემუშავება
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	თანამშრომელთა ნაწილს სრულად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, სკოლამ 2023 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყო თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და	სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით დასკვნის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები შესრულებული არ აქვს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის მოგვარებას 2023 წლის 27 ნოემბრამდე.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას არ აქვს პანდუსები/ლიფტი. სკოლას არ აქვს ადაპტირებული ტუალეტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, პირველ სართულზე გაკეთდა ადაპტირებული ტუალეტი. 2024 წლის 15 სექტემბრამდე დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის პანდუსებით აღჭურვის საკითხის მოგვარებას.
ინდიკატორი N 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას არ აქვს ვებ გვერდი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2023 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას არ აქვს ვებ გვერდი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2023 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას და ინფორმაციის განთავსებას ქართულ ენაზე.
ინდიკატორი N 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.	სკოლას არ აქვს ვებ გვერდი სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2023 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას და განათავსებს შესაბამის ინფორმაციას.
ინდიკატორი N 4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ (I – VI) კლასების მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გააფორმა ხელშეკრულება. (შესრულების ვადა 31.10. 2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და გადახედვისას გაითვალისწინოს ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვა და უსაფრთხო სკოლის ორიენტირები.
სტანდარტი		
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	დაწესებულებას მიეცა რჩევა მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე (1700 მოსწავლე) გაზარდოს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და დროულად შეიძინოს პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა მედიკამენტი.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	აწარმოოს სსსმ მოსწავლის პორტფოლიო სრულყოფილად, დინამიკაში მოახდინოს მოსწავლის შეფასება მის მიერ სასწავლო პროცესში შესრულებულ ნამუშევრების მიხედვით და აღნიშნული შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ასახოს ინკლუზიური განათლების მონიდორინგის დასკვნაში.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	. მე-5, მე-6 კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულ მიმართულებაში დამუშავდეს შესაბამისი ცნება/ქვეცნება, შესაბამისი საკითხებითურთ. 2. შეტანილ იქნას და დაზუსტდეს კონტექსტ მაგალითები. 3. შესაბამისად ფორმულირდეს დავალების იდეა 4. მოსწავლეთათვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი ელ. რესურსები. 5. საგნობრივ კურიკულუმში დაემატოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნება, რათა ორიენტირება მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებ განისაზღვროს საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.
ინდიკატორი 2.2.1.4.	.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	უცხო ენები - სასურველია საშაუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების რაოდენობის გაზრდა. სახელმწიფო ენა - კათედრის წევრებმა სექტემბრამდე პერიოდში დახვეწონ მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო, ისე, რომ ჩანდეს გრძელავდიან მიზნებზე ორიენტირება. ,ასევე, შეიმუშავონ მე-11 კლასის კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები.
ინდიკატორი 2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენა - : სასურველია კათედრამ ეტაპობრივად შექმნას კომპლექსური ბუნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა დავალებისთვის. სკოლას აქვს გამოცდილება სადიაგნოსტიკო შეფასების.კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს ორჯერ ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება. ინდიკატორი შესაბამისობაშია. ტექნოლოგიები - სწავლის დაწყებამდე დაწყებითი საფეხურის დანარჩენი კლასებისთვისაც განისაზღვროს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები .

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

–

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

.....

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **მისიის** მიხედვით, სსიპ - ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა აღზარდოს ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობიანი, კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე; ახალი გამოწვევების სამყაროში ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას, ინტელექტუალურად და ზოგადი უნარ-ჩვევებით განავითარონ მოსწავლეები,რომლებსაც ეცოდინებათ ტექნოლოგიური მიღწევების ცხოვრებაში ეფექტურად გამოყენება.
დაწესებულების ხედვით, „მე-145 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი სრულად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და დაფუძნებულია სწავლა-სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე.“
დაწესებულების ძირითადი ღირებულებებია: სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა, გუნდურობა და უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს თემისა და საზოგადოების წინაშე. არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური მუშაობით, საქველმოქმედო, სპორტული და საინფორმაციო-შემეცნებით ღონისძიებებით ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. ქმნის უსაფრთხო გარემოს, სადაც დაცულია მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოება.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. <u>სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და გადახედვისას გაითვალისწინოს ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვა და უსაფრთხო სკოლის ორიენტირები.</u>

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია წლების წინ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დირექტორი განიხილავს

სასკოლო სასწავლო გეგმის შემდგენელ ნაწილებს და მათ შორის სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგია სკოლის მისიასთან და ხედვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყოველწლიურად ხდება მისი გადახედვა. სკოლა 2023-2024სასწავლო წლისათვის გეგმავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამჟამინდელი ვერსიის შეცვლას ონლაინ გამოკითხვის ფორმატის გამოყენებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმების პროექტებში და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში. სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მშობელთა კრებებზე სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) გაცნობა.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. სკოლის სახელწოდება - ,,სსიპ ქალაქ თბილისის N145 საჯარო სკოლა'', შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2023-2030წწ).
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- პედსაბჭოს ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება სკოლის დირექტორის მიერ, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების დამტკიცებული გეგმა. მაგრამ წარმოადგინა** სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. **სტრატეგიული გეგმის პროექტი** შვიდწლიანია (2022-2030 წწ.) და მოიცავს სკოლის სტრატეგიულ მიზნებს. პროექტის შედგენისას გათვალისწინებულია 2022-2023 სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის შედეგების სვოტ ანალიზი და ახალი გამოწვევები. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიული მიმართულებებია:

- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ✓ ადამიანური რესურსების განვითარება;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ სასკოლო საზოგადოების სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა;
- ✓ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ✓ ორგანიზაციული განვითარება.

2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისობის გეგმით სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 15.09.2023) 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, პედსაბჭოს სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი</u>

ინდიკატორი 1.2.1.2. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის **სამოქმედო გეგმის პროექტი** და გამოყო ხუთი ძირითადი მიმართულება:

- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ✓ სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ✓ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით, სასწავლო წლის დაწყებამდე, გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმის პროექტით **არ არის განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები.**

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისობის გეგმით სკოლამ უზრუნველყო (შესრულების ვადა - 15.09.2023) სამოქმედო გეგმის დამტკიცება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, პედსაბჭოს სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი</u>

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია ამოცანები, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დირექტორის ბრძანება ნ 2-372), რომელიც მოიცავს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შედეგების გასაჯაროების მექანიზმებს (ანგარიში წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე). სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმის პროექტი
- *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების დებულებები,(კათედრის, ბიბლიოთეკის, პედაგოგიური საბჭოს) რომლებიც მოიაზრებს დაკვირვების, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მექანიზმებს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მოიცავს გეგმით განსაზღვრული აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების ნაწილებს.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. დირექტორის ბრძანებით (N 2-372) განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობის მიზნით, სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიურ საბჭოს. შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების უკუკავშირის შემდეგ იგეგმება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. სასწავლო პროცესის შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ, შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დებულების მე-12 თავის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დებულება;

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

- დირექცია (დირექტორი, 1 მოადგილე, 1 ბუღალტერი);
- ადმინისტრაცია (1საქმისმწარმოებელი, 1მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 64 მასწავლებელი);
- ტექნიკური და მომსახურე პერსონალი (1 ექიმი, 5 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 2 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი, 1 სსსმ პირის ასისტენტი, 1 ცეცხლფარეში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამეურვეო საბჭო;
- პედაგოგიური საბჭო;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- დისციპლინური კომიტეტი;
- მრჩეველთა საბჭო.

სკოლა სარგებლობს ბრძანებით N1/კ - 80 (20/09/2019), სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია და დაწესებულების თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში რეგულირდება დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით და შინაგანაწესით.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპებს. სტრუქტურული ერთეულის და დასაქმებულების რეგულაციები და წესები ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება;
- თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ბარათი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს N3 სხდომაზე (06.09.2019) დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ინფორმაციას: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები და სხვა. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი. დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი (2020 წლის 20 ნოემბრის ბრძანება N 2-321). ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს შეუწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი.

სკოლა მუშაობს ცვლებში და დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა თანამშრომლის მოწვევა.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები (ბრძანება N 0-364),რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სკოლის შინაგანაწესთან. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში, დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ეტაპები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებ გვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით. საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის წესი და პირობები.

თანამშრომელთა პირადი საქმეების გაცნობისას დაფიქსირდა, რომ თანამშრომელთა ნაწილს სრულად **არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, სკოლამ 2023 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყო თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება .</u>

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში სულ დასაქმებულია 87 ადამიანი. აქედან, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლებისათვის 70 მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. 1 მენტორი, 7 არის წამყვანი,ხოლო 62 - უფროსი მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: ფსიქოლოგი, 3 სპეც მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. რომელიც შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობას და ნდობას. ვაკანტურ ადგილზე კადრის შერჩევის საკითხს წყვეტს კომისია. საგნობრივ კათედრებზე პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და გამოცდილებებს. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს და სასკოლო აქტივობებს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს მასწავლებელთა წარმატებული საქმიანობის გაზიარების პოლიტიკა. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისადა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება N2-365, 30/08/2023), წარმატებით მუშაობს ,,კრიტიკულ მეგობართა ჯგუფი". ისინი საკუთარ გამოცდილებებს და მიღწევებს უზიარებენ კოლეგებს. ხშირია შეხვედრები კათედრის წევრებს შორის.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- EMIS ამონაწერი
- საშტატო განრიგი
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ
- teachersjobs.ge
- პირადი საქმეები
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ემსახურება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი (შეფასების ჯგუფი). გაწერილია ჯგუფის საქმიანობის წესები, შემუშავებულია გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ. სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება როგორც სასწავლო ნაწილის მიერ, ასევე საგნობრივ კათედრებზე - ურთიერთდასწრებებით.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.მასწავლებლები შეიმუშავებენ თვითგანვითარების გეგმას და ირჩევენ საჭიროებებიდან გამომდინარე ტრენინგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულებს. გარდა ამისა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება.

დირექტორის განმარტებით, ერთობლივი მუშაობა სამიზნე საკითხებზე, სამუშაო შეხვედრები და ურთიერთსწავლება სკოლის ყველა პერსონალის განვითარებას უწყობს ხელს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის (შეფასების ჯგუფის) სხდომის ოქმით N3 (19.06.23) დგინდება, რომ დასწრება განხორციელდა ყველა მასწავლებელთან, გამოიკვეთა საჭიროებები, შეფასებულია მასწავლებელთა პორტფოლიოები, დაგეგმილია ტრენინგების თემატიკა და განსაზღვრულია სამომავლო აქტივობები (ტრენინგები, სასწავლო რესურსების შექმნა, კონფერენციებში და პროექტებში მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა).

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის სამოქმედო გეგმის პროექტში გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ., განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის თანამშრომლობა და სხვა). ამ მიზნით, Teams - ის პლატფორმაზე შექმნილია მასწავლებელთა ჯგუფი. მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს პედაგოგთა კარიერულ წინსვლას. სტატუსის ამაღლებაზე წარდგენილია 5 მასწავლებელი.

სკოლის სხვა პერსონალთან ნაკლებად დგინდება მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, მაგრამ სამომავლოდ, სკოლა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, გეგმავს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.როგორც სკოლის დირექციამ განმარტა, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. მართალია, ვიზიტის პერიოდში სკოლას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული ერთიანი პოლიტიკა დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია, მაგრამ გასაუბრებით დგინდება, რომ დარეგულირებულია სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი. მაგალითად, ახალი თანამშრომლის წარდგენა კოლეგებთან ხდება სკოლის დირექტორის მიერ, კათედრის ხელმძღვანელები ახალ მასწავლებლებს აცნობენ კათედრის მასალებს და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. დასაქმებულის წახალისების სახეები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში. სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია საპრემიო მუხლი, რომელიც გაიცემა კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- სამოქმედო გეგმის პროექტი
- სკოლის შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის, მისიის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას, საგანმანათლებლო პრინციპებს, არაფორმალური განათლების, ინკლუზიური განათლების, მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკის, რესურსების, სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის საკითხებს. გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის მექანიზმები (ბრძანება N2 – 365 (30/08/23).

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო კურიკულუმში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები. სკოლის სტრუქტურაში და დებულებებში ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დირექციის და საგნობრივი კათედრების მონაწილეობით ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, კათედრები საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. პროცესზე დაკვირვების შედეგად ხდება საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი, ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით სკოლა თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით. შინაგანაწესის მე-13 - 22-ე მუხლებით განსაზღვრულია საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის წესი, სახდელის ფორმები და ა.შ. მასალების გაცნობით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ,ამ მიზნით სკოლა თანამშრომლობს სსიპ მანდატურის სამსახურთან, სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებებს. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ბრძანებაN 2-16, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, შეხვედრები/კრებები. მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და გაზიარების მიზნით სკოლას Teams -ის პლატფორმაზე შექმნილი აქვს თითოეული საგნობრივი კათედრის სამუშაო ჯგუფი. ყველა ფუნქციურ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომლებიც კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით უზრუნველყოფენ მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმირებას სასკოლო ცხოვრების შესახებ. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საინფორმაციო დაფა სიახლეებისათვის, მშობელთა ვიზიტისთვის შერჩეულია კვირის ერთი დღე, ტარდება მშობელთა და კლასის კრებები, სხდომები, სამუშაო შეხვედრები.

დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, გრიფმინიჭებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას და სხვა.

სკოლას არ აქვს ვებგვერდი,_თუმცა, ფეისბუქგვერდის საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას და შესაბამის უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. კოლეგიალურ ორგანოებში გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, შემუშავებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიში.

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები: უზრუნველყოფილია სკოლაში შესვლა-გასვლის კონტროლი და ვიზიტორთა აღრიცხვა, შემუშავებული და დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულაციები (სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლის საგანგებო შტაბის მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 10 აგვისტო 2023 წლის ნ 2-350 ბრძანებით , საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N 508 დადგენილებით დამტკიცებული "სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" შესაბამისად, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს). შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი და გაწერილია შტაბის წევრების ფუნქციები, სკოლის ტერიტორია შემოღობილია, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო კამერები, ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი - მანდატური. მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს 3 დარაჯი.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტი - სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი (ბრძანება ნ 2-366), რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სკოლის სპეციფიკური ადგილების ჰიგიენურად დასუფთავების ინსტრუქციები. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მეთოდები და პროცედურები. სკოლის პირველ სართულზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია,თუმც,ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შეძენილი პირველადი დახმარებისათვის განკუთვნილი ყველა საჭირო მედიკამენტი. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, შირმა, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი.

სკოლას ემსახურება 1 ექიმი.

დაწესებულებას მიეცა რჩევა მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე (1700 მოსწავლე) გაზარდოს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა.

- **ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების** დაცვის მიზნით, ყველა სართულზე განთავსებულია

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სკოლას აქვს საევაკუაციო გასასვლელი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით დასკვნის საფუძველზე გაცემული **რეკომენდაციები, რომლის შესასრულებლადაც ფინანსური რესურსების ძიებაშია.** სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ყველა სართულზე განთავსებულია უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული საევაკუაციო გეგმები.

რაც შეეხება შენობის უსაფრთხოებას, სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაგრამ წარმოადგინა მიწერილობა (26/07/2023) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.
კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის მოგვარებას 2023 წლის 27 ნოემბრამდე.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მიხედვით შექმნილია მრჩეველთა საბჭო.
შემუშავებული და დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების წესი) და გამოყოფილია ამ წესის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობა.

ინდიკატორი3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. სკოლაში ეწყობა ნამუშევრების გამოფენა, მხიარული სტარტები. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება (ბრძანება N2-366). სკოლას ემსახურება 3 დამლაგებელი. ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები.
სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, ურნებით.
გაწერილია სკოლისა და ეზოს დალაგება-დასუფთავების განრიგი.

ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (ბრძანება N2-25), რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლება-მოვალეობებს. დირექტორის ბრძანებით (N 2-26) განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები. საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საინფორმაციო მენეჯერი, პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების მიხედვით განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, მონაცემთა წესის დაცვა ელექტრონული ფოსტის, ელექტრონული ჟურნალის,ელექტრონული ბაზის გამოყენებისას, განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების პირები და მათი უფლებამოსილება, პროცესის მონიტორინგი.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა მანდატურების დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას. სკოლა თვითმმართველობის დახმარებით გეგმავს მოსწავლეთა შორის ძალადობის და ბულინგის მართვას. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს არსებულ მდგომარეობას. აღნიშნულის ხელშესაწყობად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები: ფსიქოლოგთა, საინფორმაციო მენეჯერთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირე კონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის სკოლას აქვს

შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლა არის 4 სართულიანი. საჯარო რეესტრის ამონაწერით (30/12/2021) სსიპ თბილისის N145საჯარო სკოლა ფუნქციონირებს მისამართზე: ქ. თბილისში, ჯავახეთის II შესახვევი, N10.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაზუსტებული ფართობია 11951 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 4228,85 კვ.მ (აქედან, საქვაბე - 17,70 კვ.მ).

ამჟამად სკოლაში სწავლობს 1407 მოსწავლე.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსით (კოლბები, მულაჟები, მიკროსკოპები, მაგნიტები და სხვა) ლაბორატორია განთავსებულია პირველ სართულზე და აღჭურვილია სველი წერტილებით და გამწოვით, მოსწავლეებს ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს 1 სპორტული დარბაზი ფართით 193,88 კვ.მ სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარით: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები და სხვა. სკოლამ წამოადგინა სსიპ საგანმანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი 2023 წლის 17 მარტის მიწერილობა სკოლაში სპორტული დარბაზის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ეზოში სპორტული მოედნის გაკეთების თაობაზე.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში არის სააქტო დარბაზი, 2 კომპიუტერული ლაბორატორია (მათ შორის მომავლის კლასი), ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის აქვს რესურს ოთახი, **მაგრამ სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ადაპტირებული საპირფარეშო არ აკმაყოფილებს** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებს. **სკოლას არ აქვს ლიფტი და/ან პანდუსები,** რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილების და სკოლის ტერიტორიით სარგებლობის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები.
კერძოდ, პირველ სართულზე გაკეთდა ადაპტირებული ტუალეტი.
2024 წლის 15 სექტემბრამდე დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის პანდუსებით აღჭურვის საკითხის მოგვარებას.

ინდიკატორი 3.5.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. როგორც სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, სააქტო დარბაზში ხშირად იმართება პრეზენტაციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, კონფერენციები, ეწყობა კინო ჩვენებები. სკოლა აქტიურად იყენებს მომავლის კლასს და საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების ლაბორატორიებს. თანამშრომელთა განმარტებით, სკოლაში ფუნქციონირებს რადიო-კვანძი (რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის მოსწავლეები).

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების დიდი ნაწილი. კერძოდ, კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განხორციელებას). ბიბლიოთეკაში არის 3729 ერთეული მხატვრული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მეთოდური ლიტერატურა და 14.930 ერთეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ბიბლიოთეკართან.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი - ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ლაბორატორიის აღჭურვილობა, ისტ - ისა და ჯეოსელი კაბინეტები (მომავლის კლასი), ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი
- მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არსებული 2 კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს. საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია ტექნიკა, რაც სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(office 365, Teams, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას. შემუშავებულია სკოლის ციფრული განვითარების სასწავლო წლის გეგმა. სკოლაში არის მოძველებული, მაგრამ მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერები და ახალი ლეპტოპები და ინტერნეტკავშირი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ,,მომავლის კლასი" (ჯეოსელის ოთახი), სადაც განთავსებულია ჭკვიანი დაფა.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას. სკოლაში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების 1 კაბინეტი, ,,მომავლის კლასის" 1 ოთახი, შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი და განრიგი. სკოლა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის (Teams, Messenger, Facebook) მეშვეობით, რაც დასტურდება ინფორმაციის გაგზავნის ფაქტებით. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში კომპიუტერული ტექნიკა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი
- სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი და ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N414 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" წესის, ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების ერთიანი წესი წარმოდგენა და 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება N 2-213 - საქმისწარმოების წესში განსხვავებული წესის დადგენის შესახებ (რაც დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას ითვალისწინებს).
აღნიშნულ საქმიანობას უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აკინძულია და ინახება.
ინდიკატორი 3.6.2.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოყენებულია სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი. შემოსული და გასული დოკუმენტაციის სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციისათვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-flow). მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს მონაცემებს სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის, რაც ხელს შეუწყობს საქმისმწარმოებელს უზრუნველყოს მარეგულირებელ უწყებებთან (განათლების მართვის სისტემასთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა) დროული კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, საგანმანათლებლო -საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, ურთიერთობის პრინციპები და სხვა ძირითადი საკითხები. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: საინფორმაციო შეხვედრები (როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე), ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო ზარი, სატელეფონო შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა და სოციალურ ქსელი.

სკოლას არ აქვს ვებ გვერდი.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2023 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას .</u>

ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირების მიერ. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა. მომავალი სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლის სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით იგეგმება ცვლილებების შეტანა. სკოლა საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებისათვის იყენებს ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფებს.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად ძირითადად გამოყენებულია Forms-ის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია. სკოლა გეგმავს ელექტრონული რეიტინგული გამოკითხვების, მოსაზრებების ან სხვა აქტივობების სტატისტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2023 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას და ინფორმაციის განთავსებას ქართულ ენაზე.</u>

ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილად დაკმაყოფილებული.

5. სკოლას არ აქვს ვებ გვერდზე.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2023 წლის 30 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას და აუცილებელი ინფორმაციის განთავსებას.</u>

ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ციფრული განვითარების გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით, ასევე, სკოლას აქვს ეკონომიკური შემოსავლები, რომლებიც გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და მიემართება სკოლის განვითარებისკენ, მათ შორის ინფრასტრუქტურის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობისკენ. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მყარ საფუძველს. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. კვლევის საფუძველზე შედგენილია ბაზრის შესყიდვების გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის რეგისტრაცია ხდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ePLAN მოდულის მეშვეობით. სსიპ N145 საჯარო სკოლა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.7.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის,მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა. კერძოდ, სკოლაში დამტკიცებული ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსების ხარჯვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლას აქვს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ხარჯის განხორციელება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი ;
- სსიპ თბილისის 145-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები თავისი მკაფიო, ნათელი ფორმულირებებით ითვალისწინებს ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლებას და სხვა.აღნიშნული საკითხების უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს შინაგანაწესს. მოსწავლეთა ქცევის წესების დოკუმენტს და თვითმმართველობის დებულებას, რომელშიც ერთ-ერთ პუნქტად მოცემულია თვითმმართველობის ფუნქცია - სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და ასევე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობით დისციპლინურ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება. მოსწავლეთა უფლებების დაცვას ემსახურება დისციპლინური კომიტეტი, რომლის დებულებითაც რეგულირდება დისციპლინური გადაცდომის სახეები, რეაგირების ფორმები და პროცედურები. მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა რეგულირდება მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომლითაც მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები და სკოლის პასუხისმგებლობაა აღწერილი. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგით და მანდატურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურით უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური უსაფრთხოება, ასევე ფსიქოლოგიური საჭიროებების დროული გამოვლენა და რეაგირება რომელიც ასევე მოსწავლის კანონიერი უფლებაა. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების ფორმებით არ ხდება მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დარღვევა, რაც მის გამჭვირვალობაზე მიუთითებს. ის არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, ასევე შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის განმარტებით, მოსწავლის ქცევის წესები შემუშავდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით და გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის დერეფნებში გამოკრულია პოსტერები ბავშვთა უფლებების საკითხებზე. დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. ასევე, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც მოცემულია სკოლის ვალდებულება შინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.
მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მოსწავლის უფლების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციისა და აღნიშნული სტრუქტურების მიერ ხდება მყისიერი რეაგირება. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს არ ყოფილა დისციპლინური წარმოების ან გასაჩივრების შემთხვევები.

ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა და მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა I – VI კლასების მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გააფორმა ხელშეკრულება. (შესრულების ვადა 31.10. 2023)</u>

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი
- მშობელთა კრების ოქმები
- ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს შორის

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.დირექტორის ბრძანება N2-368 -ით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი.
აღნიშნული წესი გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საინფორმაციო მენეჯერი), რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს.

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

1. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გადმოდის სხვა სკოლიდან მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას. დასტურის საფუძველზე ხდება მოსწავლის ჩარიცხვა შესაბამის კლასში. აღნიშნული საკითხები რეგულირდება დირექტორის ბრძანება N2-368 -ით დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესით.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. არაფორმალური განათლების კუთხით სკოლაში იჯარის ხელშეკრულებით ფუნქციონირებს გახანგრძლივებულის წრე და ცეკვის, ხელოვნების, ფრენბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის სექციები. აღნიშნულ საგანმანათლებლო მომსახურებებთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია შეთანხმების ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია დაწვრილებით ყველა რეგულაცია. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმართება გაცნობითი საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები, მშობელთა კრებები, რომლის საშუალებითაც ხდება საგანმანათლებლო მომსახურებების სახეების, პირობების, სპეციფიკის და დადგენილი საფასურების შესახებ მშობლების ინფორმირება. სკოლაში გასულ სასწავლო წელს ფუნქციონირებდა ბუფეტი, მაგრამ კომპანიამ ახალი სასწავლო წლისთვის შეწყვიტა სკოლასთან საიჯარო თანამშრომლობის ხელშეკრულება. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებით არეგულირებს ინფორმაციის მიწოდების ფორმებს და საშუალებებს.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობელთან:
- დამრიგებლის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებულია ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პოლიტიკა. 2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N 2-377-ით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. განსაზღვრულია სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მნიშვნელობა და პრინციპები, დეზადაპტაციისა და ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები. თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობის და სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუირების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლა მოსწავლის სასკოლო გარემოში უმტკივნეულოდ გადასვლის მიზნით იყენებს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. პირველკლასელთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ვადების გამოცხადების შემდეგ სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტის საჯაროობას. სკოლა თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს დოკუმენტს და აღნიშნული ასევე საჯაროვდება სკოლის facebook-ის გვერდზე (ამ ეტაპზე სკოლაში ტრანზიციის გეგმა ხორციელდება ნაწილობრივ, თუმცა ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება ტრანზიციის გეგმით განსაზღვრული აქტივობების სრულყოფილად შესრულება. მათ შორის მშობელთა და მასწავლებელთა კითხვარების შევსება და მათი ანალიზის შედეგების გათვალისწინება შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისას). სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საგნის მასწავლებლებს და დამრიგებლებს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა და თამაშებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტი. ახალი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საგნის მასწავლებლებს და დამრიგებლებს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა და თამაშებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტი. ახალი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, რათა პატარებს დადებითი ემოცია გაუჩნდეთ სკოლისადმი. ღონისძიებების ამსახველი მასალა განთავსებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. ინტერვიუდან ირკვევა, რომ როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის, ხელი ეწყობა მის ადაპტაციას სკოლასთან, შესაბამის კლასთან და ძირითადად ამ ფუნქციას კლასის დამრიგებელი ითვისებენ. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას (ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე).

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის საკონსულტაციო სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ახორციელებს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. დირექციასთან, მასწავლებლებთან, ინტერვიუირების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება სხვადასხვა წყაროები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლა სთავაზობს დამატებით კონსულტაციებს, მეცადინეობებს. კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სემესტრული ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნის შესაძლებლობაზე. თვითშეფასების დოკუმენტით და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს გაანალიზების შედეგად დგინდება, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, როგორც ზეპირი ფორმით, ასევე წერილობითი სახით. ელექტრონული ჟურნალის სპეციალურ ველში წერენ განმავითარებელ კომენტარებს, რაც ხელმისაწვდომია მშობლებისთვის.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა სთავაზობს შინ სწავლებისა და დისტანციური სწავლების მომსახურებას. სკოლის მიერ ხდება ინფორმაციის მიწოდება საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების შესახებ. მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. კლასის დამრიგებლის ჩართულობით ეცნობებათ მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. მშობლები ასევე ინფორმირებულები არიან მოსწავლეთა უფლებებზე შინ სწავლებასთან დაკავშირებით, რაც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო საქმიანობა მოსწავლეთა ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან რადიოგადაცემები მათთვის აქტუალურ საკითხებზე და გაუშვან რადიოკვანძის ქსელში სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. სკოლის რადიოკვანძი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის საჯაროობისთვის, დაბადების დღეების მისალოცად, დიდ დასვენებაზე მხატვრული კითხვისთვის, ასევე საგნობრივი კვირეულების დღის წესრიგისა და მიზნობრივი ინფორმაციის გასაცნობად. რადიოკვანძს კურირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეების არაფორმალური აქტივობები საკმაოდ ხშირია, მათი მხარდაჭერა ხორციელდება როგორც წახალისების სხვადასხვა ფორმით (მადლობა, დიპლომი, სიგელი, სერტიფიკატი და ა.შ.), ამასთანავე მატერიალური უზრუნველყოფითაც. კერძოდ, სხვადასხვა ღონისძიებისთვის საჭირო ატრიბუტიკისთვის გამოიყოფა შესაბამისი რაოდენობის თანხა (მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების დაფინანსება).

ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.

6. თვითშეფასების დოკუმენტზე და სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუირების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს კვლევების ჩატარების გამოცდილება, მათ შორის მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების მიმართულებით. სკოლის მიერ მოსწავლეთა აზრის გასათვალისწინებლად პერიოდულად ტარდება გამოკითხვები, ინტერვიუირება სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. აღნიშნული გამოკითხვები ტარდება როგორც კონტაქტურად, ასევე დისტანციურად, თიმსის პლატფორმაზე, forms-ის გამოყენებით. ამ აქტივობისთვის სკოლა იყენებს სოციალური ქსელიც. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესებში, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებასა და სკოლისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში (მაგალითად, შინაგანაწესი). მნიშვნელოვანია მშობელთა უკუკავშირი, რომლის მონაცემებიც გროვდება მშობელთა კრებების და მშობელთა გამოკითხვების საშუალებით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უკუკავშირს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის ოქმი N1
- თვითმმართველობის პორტფოლიო
- სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიში
- კლუბების პორტფოლიოები
- საქმისწარმოების წესი
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ამსახველი მასალები / აქტივობები
- მოსწავლის აკადემიური საკონსულტაციო/ მხარდამჭერი მომსახურების ამსახველი მასალები / აქტივობები
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ამსახველი მასალები/აქტივობები(მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება)

1.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ საბაზო განათლების მიღება იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სკოლა ფიქრობს და ზრუნავს მათ მომავალ საქმიანობაზე, ამისათვის მოსწავლეებს აცნობს სხვადასხვა უნივერსიტეტისა თუ პროფესიული სასწავლებლის პროგრამებსა და შეთავაზებებს. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან. სკოლა თანამშრომლობს „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან". განათლების ფაკულტეტის სტუდენტები სკოლაში ატარებენ კვლევებს განათლების კუთხით და სკოლას აწვდიან მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციებს.

სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული „ შპს ევროპის უნივერსიტეტთან". მემორანდუმის პირობები მოიცავს სტუდენტების ლექცია-პრაქტიკულების ჩატარებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და კურსდამთავრებულთა პრაქტიკას სკოლაში.

სკოლას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრთან. მემორანდუმის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი პროგრამები - ლიტერატურული საღამოები, გალობის საღამოები და სხვა ერთობლივი ღონისძიებები. სკოლასა და „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს" შორის გაფორმებულია მემორანდუმი მასწავლებელთა კადრების მომზადების მიზნით. პერიოდულად მოსწავლეებს ხვდებიან სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები , რომლებიც მათ შეთავაზების ფორმით აცნობენ წარმატებული პროგრამების, სასწავლებლის უპირატესობებისა და გარანტიების პაკეტს , დამრიგებლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს პროფორიენტაციის შესახებ.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა შესაბამისი საფეხურის დასრულებამდე ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და გაფორმებული აქვს მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან - „სპექტრი". სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან მიზნობრივ ინფორმაციებს და გეგმავენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ გაწეული მომსახურების შეფასების მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა შეხვედრები მოსწავლეთა მშობლებთან. სკოლა ახდენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კურსდამთავრებულების მიერ მიღებული შედეგების აღრიცხვას. პერიოდულად აგროვებს ინფორმაციას მათი დასაქმების შესახებ. აღნიშნული მონაცემები განიხილება საგნობრივ კათედრებზე , ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და იგეგმება საჭირო ინტერვენციები.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმები.

1.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი (ბრძანება N 2-228). გაწერილია სასწავლო პერიოდის მანძილზე განსახორციელებელი სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები. დირექტორს ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის პროცესზე. ასევე შემუშავებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებების შეფასება, გააანალიზება და შედეგების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. სკოლამ დოკუმენტის სახით წარმოადგინა სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რომელშიც ასახულია საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტიანობის , ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების, სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების, მშობლებთან თანამშრომლობის, პედაგოგების, სპეც-პედაგოგების და დამრიგებლების საქმიანობის და ადმინისტრაციის ჩართულობის შეფასება. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის განხილული სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში პროგრესის ან რეგრესის შესახებ. გასაუბრებისად დადგინდა , რომ სპეციალური საჭიროების მასწავლებლებს ნაწილობრივ ჰქონდათ შენახული სსსმ მოსწავლეების ნამუშევრები (რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს განვლილი ისგ-ის შეფასება და ახალი ისგ-ის შემუშავება) . **სკოლას მიეცა რჩევა:** აწარმოოს სსსმ მოსწავლის პორთფოლიო სრულყოფილად, დინამიკაში მოახდინოს მოსწავლის შეფასება მის მიერ სასწავლო პროცესში შესრულებული ნამუშევრების მიხედვით და აღნიშნული შედეგები ასახოს ინკლუზიური განათლების მონიდორინგის დასკვნაში.

ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.

2. მხრიდან სსსმ მოსწავლის მიმართ მხარდაჭერა გამოიხატება სკოლის საზოგადოების თანამშრომლის სხვადასხვა ფორმებში. ისგ-ის შემუშავების პროცესში სპეც-მასწავლებელთა თანამშრომლობა დამრიგებლებთან და საგნის პედაგოგებთან. რესურსებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების განხილვა დირექციასთან. ასევე, აღინიშნება დირექციის მხრიდან მშობლებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა. დირექტორის ბრძანებით შექმნილია სპეციალური ჯგუფი ინკლუზიური სწავლების პროცესის მონიტორინგისთვის, ყოველივე ეს ავლენს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სსგ ჯგუფის შესახებ
- შრომითი ხელშეკრულებები ფსიქოლოგთან
- ისგ გეგმები
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.4. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. იდენტიფიცირებულ

მოსწავლეებთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობს ისგ ჯგუფი. სპეცმასწავლებელი მოსწავლეს უწევს დამატებით მომსახურებას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წელიწადში ორჯერ წარმოადგენს ანგარიშს და შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სკოლის ინკლუზიური პოლიტიკა. სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარება დიდად არის დამოკიდებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანადგომაზე. თანამშრომელთა პორტფოლიოების, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების და ფსიქოლოგის სამუშაო მასალების გაცნობა ადასტურებს სკოლის მზაობას ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური გეგმები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

1.2.5. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს, გახანგრძლივებულ (ფასიან) სწავლებას და კონტრაქტორების მეშვეობით მრავალფეროვან (ფასიან) წრეებს: ცეკვის, ხელოვნების, ფრენბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ემსახურება მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ, პერსონალურ ან/და კარიერულ ზრდას და განვითარებას. V კლასიდან, მეორე უცხოურ ენად შეთავაზებულია რუსული და იტალიური ენები, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კი არჩეული აქვთ ფრანგული ენა .

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დამატებითი მომსახურება და არაფორმალური განათლების წრეები, კლუბები წარმოადგენს სკოლის სასწავლო გეგმის ნაწილს, რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ფასიანი მომსახურების შემთხვევაში გაფორმებულია ხელშეკრულებები მშობელს, წრის ხელმძღვანელსა და სკოლის დირექტორს შორის. სკოლამ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნა, რომ „სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი“, ვიზიტის დროს, გასაუბრებისას დირექციამ განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლიდან კვების ობიექტი, რომელიც იჯარით იყო გაცემული, აღარ აგრძელებდა ფუნქციონირებას. სკოლას არა აქვს ტრანსპორტირების სერვისი და საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა. სკოლა ფასიანი წრეების სახით, ნებაყოფლობითი პრინციპით უწევს მოსწავლეებს არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. ბრძანება N2-310-ის საფუძველზე ხორციელდება მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გახანგრძლივებული, ფასიან სწავლება. აღნიშნული ბრძანებით გაწერილია მომსახურების ღირებულება, ფორმა და პედაგოგთა ანაზღაურების საკითხები.

ინდიკატორი 4.2.4.2.დაკმაყოფილებულია.

3. დამატებითი მომსახურების წრეები ფუნქციონირებენ განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათი დასწრების კონტროლს. სკოლა მომსახურებას განახორციელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი 4.2.4.3.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფეხბურთის წრის კალენდარული გეგმა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- წრისა და კლუბების გეგმები;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება*ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2 -დაწყებითი საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	☐ **შეესაბამება**

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას განხორციელებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო კათედრის

პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, მშობლის ბარათი, სოციალური ქსელი) მეთოდით . დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. მშობლების განცხადების საფუძველზე იქმნება დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო ფასიანი წრეები. საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. პარალელური კლასების მასწავლებლები თანხმდებიან კომპლექსური დავალებების შერჩევასთან დაკავშირებით. სასკოლო კურიკულუმი, დაწყებით საფეხურზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასრულებისას ხდება კათედრის მუშაობის ანალიზი, პედაგოგები ავსებენ მასწავლებელთა თვითშეფასების ანგარიშებს. ამის საფუძველს მაძლევს კათედრის მიერ გაზიარებული პრაქტიკა . კათედრის წევრები წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებს და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს. ასევე კათედრაზე გეგმავენ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით მოსწავლეების პროგრესის ხელშესაწყობად პროექტებს, ოლიმპიადებს, კონკურსებს, სპექტაკლებს. კათედრა მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსებში. კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით. **ინდიკატორით 2.1.1.1. დასტურდება შესაბამისობა**

2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური

დავალებების რაოდენობა განსაზღვრეს შეთანხმებულად, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებული ზეპირი უკუკავშირის გზით. ასევე დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ;ინგლისურ,იტალიურ) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს,რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს კერძოდ, მასწავლებლებს რას, როგორ, რაზე დაყრდნობით ასწავლიან, მოსწავლეებს/მშობლებს რას , როგორ რის საფუძველზე შეისწავლიან. სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, პროექტებს. სკოლას დაგეგმილი აქვს მასშტაბური სოციალური პროექტის განხორციელება,რომელის უშუალოდ ინიციატორი ესთეტიკის კათედრაა. სკოლა რეალურად აფასებს ამჟამინდელ მოცემულობას და შემდგომი განვითარების გზებს სახავს. კურიკულუმი ითვალისწინებს სასკოლო თემის თითოეული რგოლის მაქსიმალურ ჩართულობას, ძირითადი აქცენტი მოსწავლეზე და მისი საჭიროებებზეა გადატანილი. სკოლა პროცესს ხედავს დინამიკაში.

ინდიკატორით 2.1.1.2. დასტურდება შესაბამისობა

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, კათედრების მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში. აღსანიშნავია,

რომ ისინი მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ დაწყებითის კათედრაზე მოილაპარაკეს, გადაინაწილეს საგნობრივი კურიკულუმები, თითეულმა პედაგოგმა წარმოადგინა კურიკულუმის სამუშაო ვერსია. დისკუსიით, აზრთა გაზიარებით, თანამშრომლობით შექმნეს კურიკულუმი ესგ-ს საფუძველზე. სახელმძღვანელოებიდან და თემებიდან ჯერ მოკლევადიან მიზნებზე და შემდეგ გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, გაწერეს კომპლექსური დავალებები საზოგადოებრივ კათედრაზე. დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთდენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავდენ სამომავლო რეკომენდაციებს. კომპლექსური დავალებების რაოდენობა განსაზღვრეს შეთანხმებულად. დამრიგებლები სისტემატიურად აწვდიდნენ ინფორმაციას მშობლებს, შემუშავებული კურიკულუმების შესახებ, რაც მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. კურიკულუმის შემუშავების ციკლურ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. ასევე, სასკოლო კურიკულუმებში ჩართულია სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი ინდ. სასწ. გეგმები და მათზე მორგებული ადაპტირებული სასწ. მატრიცები. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესთან და ამ პროცესში მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით. **ინდიკატორით**

2.1.1.3. დასტურდება შესაბამისობა

2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა მშობლის ინფორმირებისთვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმების გაზიარებულია სასკოლო თემთან. დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამებს, იღებენ მათგან უკუკავშირს და საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. მოსწავლეებს კლასის საათზე სთავაზობენ პროექტებს. ერთ-ერთი იყო ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, რომელიც ბავშვების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდა. დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ მშობლებს სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება. მშობლებს გააცნობენ სასწავლო საკითხებს და კომპლექსური დავალებებს მოსწავლის ბარათის მეშვეობით.

ინდიკატორით 2.1.1.4. დასტურდება შესაბამისობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი
- მშობელთა ბარათი
- კათედრის სხდომის ოქმი(ანგარიში)
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- 2022-2023-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

  სამეურვეო საბჭოს ოქმი - სსგ -ის შეთანხმება;

  პედაგოგიური საბჭოს ოქმი -სსგ-ის დამტკიცება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კათედრების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კათედრებზე აქვთ გამოცდილება ამ კუთხით და შეუძლიათ კომპლექსური დავალებების ადაფტირება და მოსწავლეზე მორგება. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგების მიერ გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესი, მისწრაფებები, წინარე ცოდნა, სწავლის სტილი, მეთოდები და სტრატეგიები. ირჩევა თემები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გრძელვადიანი მიზანი და ის შედეგი რაზეც უნდა გავიდეს მოსწავლე. კურიკულუმებში შეტანილი თემები

მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მაგალითად დაწყებითების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ტიპის დავალებები: მოამზადე პრეზენტაცია თემაზე ჩემი ოჯახი(გენეალოგიური ხე) L'albero genealogico di mia famiglia; პრეზენტაცია თემაზე ,,ჩემი საყვარელი ცხოველი"; შექმენი წერილი მეგობრისთვის თემაზე „საზაფხულო არდადეგები" და წარუდგინე თანატოლებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. სსსმ მოსწავლეებისათვის,მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გლობალური ფუნქციური უნარების განვითარება, რომელიც გვეხმარება კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდაში, ჰოლისტური მიდგომა კი ეხმარება მოსწავლეს, თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, ხოლო მასწავლებლები, იყვნენ .ამ ცოდნის მხარდამჭერები. ყოველივე ამის გათვალისწინებით შედგენილი საგაკვეთილო გეგმები და კომპლექსური დავალებები ეხმარება პედაგოგებს სამიზნე ცნებების დაძლევასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ამოიკითხება თანამიმდევრული სვლა შუალედური მიზნების გავლით გრძელვადიანი მიზნისკენ,ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდართებთან შესაბამისობით. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კერძოდ, კომპლექსური დავალებების ფარგლებში მუშავდება თითოეული საგნის ფარგლებში თემაში ყველა სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მუშავდება იმგვარად რომ, მოსწავლეებმა შეძლონ თითოეული სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების შეთვისება და შესწავლა გააზრებულად. შეძლებისდაგვარად პედაგოგები მუშაობენ ისეთი გლობალურ-ფუნქციურ უნარების განვითარებაზე, როგორიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ხასიათი - ნებისყოფა. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ;ინგლისურ,იტალიურ) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას,იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ .რუსული ენის მეექვსე კლასის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალება: დახატე შენი ჯამბაზი, გააფერადე და მიუთითე სხეულის ნაწილები; აღწერე მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი არსებითი და ზედსართავი სახელების დაკავშირებით; ინგლისური ენის მეოთხე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური ტიპის დავალება:აღწერითი წერილობითი ტექსტი "პერსონაჟის ერთი დღე" ნახეთ ვიდეო მოცემულ ლინკზე One Day. მოუფიქრეთ სახელი მოქმედ პირს და აღწერე მისი დღე წერილობით ტექსტში; ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ და გაითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ ვფიქრობ, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული ის, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები. **სკოლას მიეცა რჩევა ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტისგან,** რომ 1. მე-5, მე-6 კლასების კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულ მიმართულებაში დამუშავდეს შესაბამისი ცნება/ქვეცნება, შესაბამისი საკითხებითურთ. 2. შეტანილ იქნას და დაზუსტდეს კონტექსტ მაგალითები. 3. შესაბამისად ფორმულირდეს დავალების იდეა 4. მოსწავლეთათვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი ელ. რესურსები. 5. ასევე საგნობრივ კურიკულუმში დაემატოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნება, რათა ორიენტირება მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ინ**დიკატორი 2.1.2.2, შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების საგნის პედაგოგები არ/ვერ ახდენენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სსსმ მოსწავლეების სწავლებას. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ვერ ითვალისწინებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს აქტიურად ვერ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას აქვს დიდი ხნის გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის თვალსაზრისით. მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას.მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა,აქტივობები შერჩეულია დაბალი,მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის,ხშირად მიმართავენ წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას,მასწავლებლებმა სამუშაო პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილებაც გააზიარეს,კერძოდ,როგორ შეუწყო ხელი დიფერენცირებულმა მიდგომამ ხელი მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას.

საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია სტანდარტთან

2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ბუნებისმეტყველების საგნის პედაგოგების მიერ იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა (I - IV და V - VI კლასები) ყოველი კონტექსტ -მაგალითის მიმართ და განმასღვრელი რუბრიკის შექმნა (V და VI კლასები) დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან და ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები.

კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაგვიზიარა პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების (დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს :ტექსტი, სამეტყველო ქმედებას , ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი.) საფუძველზე მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე კათედრა გეგმავს განმსაღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ისაუბრა შეფასების სისტემასა და მის მნიშვნელობაზე. მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის ბავშვის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე და ზრდის მათი განვითარების პოტენციალს. ბავშვები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარეც, რამდენად კარგად იცავენ იმ იმ ჰიგიენურ ნორმებს რაც საჭიროა სასაკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად. ასევე მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაღვივებაში. **ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. 2019-2020 სასწავლო წლიდან სკოლა ჩართულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში „ შეფასება განვითარებისთვის“, პროექტის მიზანია მე-4 და მე-6 კლასებში მიღწევების შეფასება. ეს პროექტი სასკოლო საზოგადოებას საშუალებას აძლევს დააკვირდეს სწავლა-სწავლების ტენდენციებს როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. მოსწავლეთა შედეგების ანალიზი პედაგოგებს ეხმარება მომდევნო სასწავლო წლის ეფექტურად დაგეგმვაში. კათერდის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და შედეგების ანალიზი, რომელიც პედაგოგებს ეხმარება მომდევნო აქტივობების ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში დამკვიდრებულია საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა გაწეული სამუშაოსა და მიღებული შედეგების შესახებ. მათი გაანალიზების საფუძველზე გამოიყოფა გასაუმჯობესებელი და პრობლემური საკითხები. შემდეგ პედაგოგები ადგენენ წარმოშობილი პრობლემების მიზეზებს. პოულობენ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს, მეთოდებს, საშუალებებს. მომდევნო სასწავლო წლისათის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ ამ ანალიზის დასკვნებს, მიგნებებს. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ . **ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების დოკუმენტი
- კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდ.გეგემები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების მასალები
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში
- კათედრის ოქმი
- მასწავლებლის თვითშეფასების რეფლექსია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის („ჩვენი საქართველო“ და „მე და საზოგადოება“) წარმოდგენილ კურიკულმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეების მიხედვით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, რომ აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში, ასევე სასკოლო პროექტებში მონაწილეობა (მაგ. პროექტი „მრავალფეროვნების შუქჩრდილები“) მოსწავლეებს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განაპირობებს. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რის შესაძლებლობას იძლევა საგნობრივ კურიკულუმში მოცემული საინტერესო თემები და შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები. ეს დაველებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა , ფიქრის,მსჯელობის,პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. მაგ. უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალებები: სიმულაციური დიალოგი ერთი ჩვეულებრივი დღის განრიგისა და აქტივობების შესახებ; წერილი თემაზე წპრეზენტაცია თემაზე „რა ისტორია იმალება ფოტო სურათების მიღმა“ წარმოიდგინე, რომ უნდა გააცოცხლო ძველ ფოტო სურათებზე ასახული კადრები და უამბო შენს მეგობრებს. ედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნა, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი,, საინფორმაციო ფლაერების დამზადება".. რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას. ამას მოწმობს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული ციფრული ნამუშევრები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიო, სხვადასხვა ციფრული აქტივობის ამსახველი მასალები. სპორტის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუდნების სიგელებეს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. მასწავლებლებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არ აქვთ ღია მოედანი და საკმარისი სივრცე. **ინდიკატორი 2.2.1.1.შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შემოქმედებით პროცესში, ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით ააწყობს ახალ ცოდნას და ამ ცოდნას გამოიყენებს ცხოვრებისეულ სიტუაციებში.**ინდიკატორი2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

2.2.1.3.**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის გაწერას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების (“მე და საზოგადოება” და “ჩვენი საქართველო”) კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. მასწავლებლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ, სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად ,რა ცოდნამ ,გამოცდილებამ ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება ,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ მოსწავლეებმა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ თანატოლების წინაშე ისაუბრეს აღნიშნული დავალების შექმნის პროცესზე , დეტალურად გაანალიზეს თითოეული ნაბიჯი , სწავლის პროცესი , რასაც , შესაბამისად , მოჰყვა უკუკავშირი , როგორც თანაკლასელებისაგან , ისე მასწავლებლისგანაც. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა ორივე საგანში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც(დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს(პროცედურული ცოდნა) და დასკვნით ეტაპზე ახდენს ცოდნის მოქმედებაში გადატანას ქმნის საბოლოო პროდუქტს. მაგალითად მეექვსე კლასის ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია შემდეგი საინტერესო კომპლექსური ტიპის დავალება: პოსტერის პრეზენტაცია თემაზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ცნობილი ადამიანები წარსულიდან“ წარმოიდგინე, რომ შესაძლებლობა გაქვს შეხვდე ერთ-ერთ ცნობილ ადამიანს წარსულიდან და დაუსვა კითხვები მისი შემოქმედების/გამოგონების შესახებ. მოიფიქრე,რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდი შეხვედრას და რა კითხვებს დაუსვამდი.ინტერვიუ წარმოადგინე პრეზენტაციის სახით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგანში მიღებული სხვადასხვა ცოდნის გამოყენება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. თვითშეფასების კითხვარი, კურიკულუმის ჩარჩო და ინტერვიუს დროს მასწავლებელთა გამოცდილება (განხორციელებული კომპლექსური დავალებები), მოსაზრებები და ხედვა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მასწავლებელი შეძლებს ცოდნათა ურთიერთდაკავშრებას და ორგანიზებას. **ინდიკატორი2.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმი დაწყებითი კლასების
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია
- კათედრის ოქმი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში კომპლექსური დავალებები მოსწავლეზეა ორიენტირებული და კონსტრუქტივისტული სიღრმისეული სწავლის მიდგომებით ხორციელდება. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხვებს შორის. რაც

დასტურდება კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმებით, რეალიზებული კომპლექსური დავალებებით, შეფასების რუბრიკებით და რეფლექსიით. შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარიმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კათედრების ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, კერძოდ, სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ნათლად ჩანს სამიზნე ცნების, ქვეცნებისა (კერძო) და საგნობრივი საკითხის ურთიერთკავშირი. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით რაც შეეხება სკოლის მიერ წარმოადგენილ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I და II კლასების კურიკულუმის ჩარჩოებს, ისინი გაწერილია არასრულყოფილად, ვინაიდან აღნიშნულ კლასებში არ არის სახელმძღვანელო, გრიფირებული სახელმძღვანელო პედაგოგებს ექნებათ დაახლოებით ერთ თვეში და 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე მას აუცილებლად გახდიან სრულყოფილს მოწოდებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში (I – IV კლასები) განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, და კომპლექსური დავალების იდეა, რაც შეეხება V – VI კლასებს, მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში არ არის განსაზღვრული ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, და შეაბამისად, არ არის ნათელი, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 –2024 სასწავლო წელს V – VI კლასებში. კათედრები ორიენტირებულები არიან კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში უმეტეს წილად მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები, ერთმანეთთან სწორადაა დაკავშრებული. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აქვს მზაობა სამომავლოდ კურიკულუმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დახვეწისა და სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ინტერვიუს დროს აღნიშული გამოცდილება კომპლექსური დავალებების დანერვისა და მეორე მხრივ მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებლის მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების და განვითარების პროცესისადმი. **ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.2.2.2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, დაწყებითი კლასის მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს. მაგ. ინტერვიუს დროს საგან „ჩვენი საქართველოს“ პედაგოგმა აღნიშნა, რომ მისი მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო პროექტში „მრავალფეროვნების შუქჩრდილები“, რომელიც ეხება ეთნიკურ, კულტურულ, ლინგვისტურ, რელიგიურ განსხვავებოლობას და ამავე დროს, უმცირესობის პატივისცემას. მისმა მოსწავლეებმა არაერთი აქტივობა განახორციელეს პროექტის ფარგლებში. ვფიქრობთ, რომ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; შესაბამისად პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა და უვითარდებათ კომინიკაციის უნარ -ჩვევები. მასწავლებელთან ინტერვიუსას ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა; თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური იუნარები, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და

ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, სკოლის მიერ განხორციელებული/გასახორციელებელი სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, დაუკავშირდეს საგნობრივ კონტექსტს. **ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრების პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები II, III და IV კლასებისთვის) რუბრიკები. ბუნებისმეტყველების პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი ხშირად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტს.**

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდებიან ისინი. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა.

კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ინსტრუმენტებს წარმოადგენს კომბინირებული შემაჯამებელი დავალებები.რომელიც ადგენს სწავლის შედეგის ხარისხს. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის. **რჩევა სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან:** სასურველია კათედრამ ეტაპობრივად შექმნას კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა დავალებისთვის. სკოლას აქვს გამოცდილება სადიაგნოსტიკო შეფასების.კათედრა 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავს ორჯერ ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტისგან:** სწავლის დაწყებამდე დაწყებითი საფეხურის დანარჩენი კლასებისთვისაც განისაზღვროს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები . **ინდიკატორი2.2.2.4. შესაბამისობაშია.**

2.2.2.5სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლის მიერ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ. კათედრებზე ხდება გამოყენებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემის რეფლექსია და ანალიზი,დაფუძნებული კონკრეტულ შედეგებზე.ვიმედოვნებ არჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი პედაგოგებს საკმაოდ დაეხმარება.ვერიფიკაცია გვაწვდის ინფორმაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.ვერიფიკაციის ეფექტურად განსახორციელებლად სკოლას დრო და რესურსები სჭირდებათ, ამიტომ მომავალში ამ მხრივ დაიგეგმება მუშაობა. ინდიკატორი შესაბამისობაშია. ვერიფიკაციის მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოდგენილი მტკიცებულება .კომპლექსური დავალების ბარათები,შემაჯამებელი დავალებები. კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე მოდელი-საკლასო წერა,რაც მასწავლებლებს უდავოდ დაეხმარება სასწავლო პრობლემის იდენტიფიცირებასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში. **ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** შესაბამისობა სტანდარტთან.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი -წესი (შესრულების ვადა 31.08.2023)</u>

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლის დოკუმენტის „შეფასების სისტემის შესახებ“ თანახმად, შემაჯამებელი(მეხუთე,მეექვსე კლასები) დავალებები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები,როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალები შენახვა უვადოდ).

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების დოკუმენტი
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები.
- მეთორმეტე რესურსი
- რეფლექსიები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე,

სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. სკოლაში არსებობს და მყარადაა შენარჩუნებული საზოგადოების განსხვავებული წევრების მიმღებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სსსმ მოსწავლეებზე, რომელთაც სთავაზობენ ადაპტირებულ სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროგრამებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია საინტერესო თემები, შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, მრავალფეროვანი რესურსები; ასევე აღსანიშნავია კათედრაზე ოლიმიადების, ვიქტორინების, სპექტაკლების განხორციელების პრაქტიკა. ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის თვითრეგულაციის განვითარებაზე. სკოლის შინაგანაწესში ასახულია მოსწავლეთა უფლებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. გარდა ამისა, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეების ჩართულობით ხდება ქცევის წესების შემუშავება, რომელიც მოსწავლის ქცევის კოდექსთან ერთად გამოკრულია ყველა საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას. ეს პროცესი მათ ეხმარება სხვადასხვა ტიპის უნარებისა და ინტერესების გამოკვეთაში, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრაში, წარმატების მიღწევასა და საზოგადოებასთან ინტეგრირებაში. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებს შორის ჯანსაღი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე. კერძოდ, სადამრიგებლო პროგრამებით, მშობლებთან თანამშრომლობით. ამასთანავე, საგნობრივი საკითხებით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითრეგულაციის განვითარებაზე. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ამის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები. ასევე აღსანიშნავია ინტეგრირებული პროექტები, ოლიმპიადები,ვიქტორინები და სპექტაკლები; ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან. **ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც გამოიხატება იმით, რომ ხშირად სასწავლო პროექტით მოსწავლეები კარგად ივითარებენ თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ეს ყველაფერი გამოიხატება იმით, რომ სკოლაში ხშირად ტარდება სასწავლო პროექტები (მაგ. სასკოლო კვირეულები კათედრების მიხედვით), რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემებს, მაგ. კულტურული მემკვიდრეობის პროექტი, რომელიც გასულ სასწავლო წელს განახორციელეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. დამრიგებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამშრომლობითი უნარისა და კომუნიკაციის განვითარებას კლასის საათის პერიოდში. სასკოლო ექსკურსიები და გასვლითი პროექტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებას. ესთეტიკის კათედრაზე დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ,ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია.სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის თავალთახედვა მიღებული და გაზიარებულია.მცირე კონტინგენტიანი სკოლა ამის საშუალებას უფრო ეფექტურად იძლევა.ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება დ ა ერთობლივი განხილვა-რეფლექსია.ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისობაშია.**

2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კარგად ჩანს თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ტარდება საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის დონეზე, რის მაგალითს წარმოადგენს სკოლაში-კათედრის გუნდურობა. კლასში კი საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ; პროექტები; მოსწავლეთა წახალისების მეთოდები(მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები)და აშ. სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ნდობაზე, ერთმანეთის პატივისცემაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, სკოლის ასევე კლასის დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სამოქმედო გეგმა
- ღონისძიებები,
- პროექტები
- მასწავლებლის თვითშეფასების რეფლექსია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარებიან, წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას(უფროსს მათ შორის კომპლექსურების განხორციელებისას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ნაბიჯები და აქტივობები კურიკულუმსა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებაზე. მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს მეთოლოდოლოგიის შესაბამისად მასწავლებელთა მიერ თვითდაკვირვებით. სკოლაში პრიორიტეტი ენიჭება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტსა და ხარისხის მართვის მხარდამჭერ ჯგუფს. მათი დაკვირვებები, რეფლექსიები გვაძლევს საშუალებას, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებმა გამოხატონ ერთმანეთისადმი დახმარებისა და მხარდაჭერის სურვილი. **ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ამჟამად ძირითადად ეს მხარდაჭარა მასწავლებელთა შორის მიმდინარეობს რეფლექსიების ანალიზის საფუძველზე. მომავალი წლისთვის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში შეტანილი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო-დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებით ხელი შეეწყობა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას და შეიქმნება კონკრეტულად გაწერილი უკუკავშირები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოვლენა. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების ანალიზის საფუძველზე მოხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება .მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის . სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა . არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლაში რომელიც მომავალში უფრო აქტიურად იმუშავებს და გაუწევს მონიტორინგს სასწავლო პროცესს. აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი 2023-2024 სასწ. წლისთვის გაითვალისწინებენ გამოცდილებას კიდევ უფრო ორგანიზებულად შეიმუშავებენ დასწრების განრიგსა და საჭიროების შემთხვევაში დავხვეწენ ურთიერთშეფასების ფორმას, რომელშიც გაწერენ გაკვეთილის დადებით და უარყოფით მხარეებს და დასახავენ გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლაში ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მონიტორინგი კითხვარების საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით ჩანს მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. თუმცა ჩამოაყალიბებული მონიტორინგისა და შეფასების გარკვეული სისტემა სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია და სამომავლოდ აქვს დაგეგმილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება და მონიტორინგი ტარდება მოსწავლეების შედეგების და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, როგორც დადებითი მხარეების აღმოსაჩენად, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში ხარვეზების გამოსავლენად. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მასწავლებლებები ერთმანეთთან თანამშრომლობით ადგენენ პრობლემების წარმოშობის მიზეზებს და ერთობლივად იგეგმება ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.

როგორც სხვა საგანში, ასევე სპორტში უმნიშვნელოვანესია პრობლემების კორექტირება, რაც მონიტორინგის და შეფასების შედეგად ხდება. მასწავლებლებისთვის ეფექტურია ბავშვების შედეგების მიხედვით განსაზღვრონ რამდენად წარმატებული იყო მათი პერფომანსი. მოახდინონ პრობლემის იდენტიფიკაცია და იმუშაონ მის აღმოფხვრაზე. რადგანაც, მასაწვლებლები იყენებენ შეფასების სისტემებს მათთვის არ არის ძნელი პრობლემის პოვნა და მისი გადაჭრა. ეს ეხება როგორც ცალკეულ გაკვეთილებს ისე კომპლექსური დავალებების შესრულების შედეგებს. მასწავლებელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ომავალი სასწავლო წლიდან კოლა გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. **ინდიკატორი 2.3.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების დოკუმენტი
- კურიკულუმი.
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია;
- ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ სკოლა 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს, რომელიც შაემცირებს შეფასებისას შეცდომის დაშვების ალბათობას და უზრუნველყოფს სრული სურათის მიღებას. სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლსაო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. მაგალითად, შეფასების რუბრიკის გარდა ესთეტიკის კათედრას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განმავითარებელი და თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტერვიუ მოსწავლესთან, მოკლე ჩანაწერები, პრეზენტაციების შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და ა.შ.

მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან. მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი. კათედრას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა და გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტირების ორჯერ ჩატარებას. მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გეგმავენ დაეყრდნონ წინა წლის გამოცდილებას, გააზრებული აქვრ, რომ ეს დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას

გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. ასევე იაზრებენ, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვაში; პასუხისმგებლობის გადანაწილება სასკოლო საზოგადოებაზე. **ინდიკატორი 2.3.2.1.შესაბამისობაშია.**

2.3.2.2.**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, დისკუსია, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება), ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებას სკოლა განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რისთვისაც მათ მიერ შემუშავებული იქნება შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. სასკოლო სასწავლო კურიკულუმი მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამ მხრივ გასათვალისწინებელია მრავალი კონტექსტი როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების მრავალი სასკოლო პროექტი ხორციელდება, ამ ეტაპზე სკოლაში არ არსებობს რაიმე სახის სპეციალური შეფასების სისტემა და ინდიკატორი, რომლის დანერგვაც იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასების სისტემაც. როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და სხვა. ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები შეფასებას ახოციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ესენია ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგი, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რაზეც დაკვირვება შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

ინდიკატორი 2.3.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდეს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს, რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები.მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორების, აფექტური ფაქტორების, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით. ირკვევა წარმოდგენილი მასალებიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს საბუნებისმეტყველო კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვდეს სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. შეფასების სისტემა აუცილებლად უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და ამის უზრუნველსაყოფად მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებლი აკეთებს სისტემატიურ ჩანაწერს მოსწავლეზე, იყენებენ სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკებს. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მოსწავლეთა შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი 2.3.2.4.შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშეფასების დოკუმენტები
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ამ ეტაპზე არ აქვთ, თუმცა ინტერვიუსა და თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლაში შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც გაითვალსიწინებს დაგროვილი გამოცდილების ანალიზს. რათა ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდეს განვლილი პროცესების გაანალიზება, სხვა განხორციელებული აქტივობების განხილვა. მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. სასწავლო პროცესში გაგრძელდება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება. გეგმავენ აქტიურად გამოიყენონ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს, რაც ეხმარება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს წარმოქმნილი ტიპური პრობლემების გამოკვეთასა და ანალიზში. ამ ეტაპზე კათედრა საგნობრივ კურიკულუმის განვითარებასა და საჭიროებების დადგენას ყოველდღიური მოსწავლეთა დაკვირვებით და საკუთარი პრაქტიკის დაკვირვებების საფუძველზე ახდენს. ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის შეფასბით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის ანალიზს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისათვის. კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. სკოლის განმარტებით, სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გადამუშავებული კურიკულუმი
- თვითშეფასების დოკუმენტები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპე
ავტორიზაციის ექსპერ

შეფასება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, სოციალური ქსელი) მეთოდით. საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. პარალელური კლასების მასწავლებლები თანხმდებიან კომპლექსური დავალებების შერჩევასთან დაკავშირებით. სასკოლო კურიკულუმი, საბაზო საფეხურზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასრულებისას ხდება კათედრის მუშაობის ანალიზი, პედაგოგები ავსებენ მასწავლებელთა თვითშეფასების ანგარიშებს. სკოლა ჩართული იყო პროექტ „ახალი სკოლის მოდელში“. ამ პროექტის ფარგლებში გაიარეს საგნობრივი ტრენინგები,განიხილეს მესამე თაობის ესგ, ქოუჩების დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმი. მიღებული ცოდნა კათედრებმა გაუზიარეს ერთმანეთს, გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება, გამოკვეთეს მნიშვნელოვანი თემები, გრძელავადიანი მიზნები, ძირითადი და დამატებითი ტექსტები, რესურსები. შექმნეს თემატური მატრიცები. დაგეგმეს, რამდენი კომპლექსური დავალება უნდა განეხორციელებინათ დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორით 2.1.1.1. დასტურდება შესაბამისობა**

2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, რაც შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებული იქნას სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესი. პედაგოგები, აფასებენ და მხარს უჭერენ ერთმანეთის წარმატებებს, თანამშრომლობით ხდება სასკოლო პრობლემების მოგვარება. მჭიდრო კავშირი აქვთ მოსწავლეებთან და მშობლებთან და მაქსიმალურად ცდილობენ კურიკულუმის შედგენისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაითვალისწინონ, როგორც პედაგოგების ასევე ბავშვებისა და მშობლების ინტერესები და პრიორიტეტები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. სკოლა ყოველწლიურად ქმნის ახალ კურიკულუმს სადაც ასახავს წლის გამოცდილებას. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ;ინგლისურ) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს კერძოდ, მასწავლებლებს რას, როგორ, რაზე დაყრდნობით ასწავლიან, მოსწავლეებს/მშობლებს რას , როგორ რის საფუძველზე შეისწავლიან. აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან საბაზო საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, პროექტებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები ,რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული პროექტები რეალური საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით ხდება და გამოიყენება, როგორც რესურსი კურიკულუმის განვითარებისათვის.სკოლა რეალურად აფასებს ამჟამინდელ მოცემულობას და შემდგომი განვითარების გზებს სახავს. ამაში ეხმარება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული პროექტები საბაზო საფეხურზე. სკოლა პროცესს ხედავს დინამიკაში.

ინდიკატორი 2.1.1.2.შესაბამისობაშია.

2.1.1.3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; საბაზო საფეხურზე მასწავლებლები კათედრის წევრებთან ერთად, საგნობრივი მიმართულებებით მუშაობენ კურუკულუმის შემუშავების პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება დირექტორთან და მასთან შეთანხმების შემდეგ ინერგება. დამტკიცებული კურიკულუმები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი). პედაგოგები ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს კარგად აქვს გაცნობიერებული მისი წილი პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. იქნება ეს სასწავლო პროცესი ,თუ მიზნობრივი არაფორმალური აქტივობები. ხდება აქტიური უკუკავშირი და თვითრეფლექსია. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ სკოლაში გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, განსაზღრულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის ფორმები. ფუნქციები და პასუხისმგებლობები ზოგი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - სპეციალური ბრძანებით არის დავალებული. რითაც დასტურდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში აღსანიშნავია, რომ ისინი მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.1.3.დაკმაყოფილებელია.**

2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ბავშვების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელიც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით პედსაბჭოზე განიხილება და მტკიცდება. დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ მშობლებს, თუ რას ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა მთელი სემესტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავლობაში. პედაგოგების თქმით, მომდევნო სასწავლო წლიდან ეს პროცესი მიიღებს მასშტაბურ ხასიათს. გამოწვევად რჩება სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ სივრცეში უფრო აქტიურად იქნას გაზიარებული ყოველი მასწავლებლის მიერ განხორციელებული კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიღწევები და არ დარჩეს ეს გაზიარება კონკრეტული ჯგუფების არეალში. მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს . ამ მიზნით და სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: Microsoft Teams პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, სკოლის ოფიციალური escool.emis.ge ვებ-გვერდი, სკოლის ფეისბუქ გვერდი. ასევე იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს. სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მოხდება მშობლის ბარათის მეშვეობით. სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას. გარდა ამისა, მოსწავლეებს უვითარდებათ სკოლისადმი მიკუთვნებულობა, რაც ერთი-ორად პროდუქტიულს და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. აქტიური ინფორმირება, უკუკავშირი და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში მეტყველებს კურუკულუმის გაზიერებულობის ფაქტზე სასკოლო თემში.**ინდიკატორი 2.1.1.4.შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - სსგ -ის შეთანხმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კათედრების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კათედრებზე აქვთ გამოცდილება ამ კუთხით და შეუძლიათ კომპლექსური დავალებების ადაპტირება და მოსწავლეზე მორგება. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგების მიერ გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესი, მისწრაფებები, წინარე ცოდნა, სწავლის სტილი, მეთოდები და სტრატეგიები. ირჩევა თემები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გრძელვადიანი მიზანი და ის შედეგი რაზეც უნდა გავიდეს მოსწავლე. მასწავლებლებმა გასაუბრების დროსაც დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც, სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებელია.**

2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);კათედრებზე შემუშავებული მატრიცები, თითოეულ საგანში ქმნის ისეთ კურიკულუმებს, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კომპლექსური დავალებების ფარგლებში თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენები. კათედრა მუშაობს ისეთი გლობალურ-ფუნქციურ უნარების განვითარებაზე, როგორიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, მეტაკოგნიცია, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ხასიათი, ნებისყოფა კერძოდ: ჯგუფური, წყვილური მუშაობისას მუშავდება თანამშრომლობითი უნარები, კომპლექსური დავალებების პრეზენტირებისას მოსწავლეთა ყურადღება მახვილდება კომუნიკაციის ეფექტურ ფორმებზე, იმართება დებატები, დისკუსიები. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ;ინგლისურ,იტალიურ) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის

ავტონომიის განცდას,იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ .რუსული ენის მეშვიდე კლასის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალებები: მისწერეთ წერილი მეგობარს და აღწერეთ თქვენი სკოლა; პრეზენტაცია თემაზე «ჩემი ოჯახის ალბომი». კურიკულუმებში სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები, საგნობრივი სტანდარტებით განსაზღრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან, ეს იერარქია კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხების, ქვეცნებების და სამიზნე ცნებებით სახით. თემის ფარგლებში მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას.

ინდიკატორი 2.1.2.2, შესაბამისია სტანდარტთან

2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება. მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას აქვს დიდი ხნის გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის თვალსაზრისით. მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული მრავალფეროვანი რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას. ინტერვიუზე პრაქტიკის გაზიარებისას მასწავლებელმა დაასახელა მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებული ინსტრუმენტები ყოველდღიური დაკვირვება; კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასებები; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ; და მოიყვანა მაგალითები თუ როგორ ახდენენ დავალების ადაპტაციას. აღსანიშნავია კათედრაზე სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდ. სასწავლო გეგმებს. კათედრაზე დაგეგმილი პროექტები ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მიუხედავად იმისა,რომ საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლეები არ ირიცხება, საბაზო საფეხურზე საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან თანამშრომლობით გამოთქვავენ მზაობას როგორც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების, ასევე კომპლექსური დავალებებისა და აქტივობების ადაპტირებისათვის. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და კათედრების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან და ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები. სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგებს ნაწილობრივ შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგების მიერ იგეგმება განმასზღვრელი რუბრიკის შექმნა საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შესასწავლი თემებისთვის. საბაზო საფეხურის საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები გვეხმარება დავინახოთ თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე გვაჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ უზიარებთ კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაგვიზიარა პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების (დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს :ტექსტი, სამეტყველო ქმედებას, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი.) საფუძველზე მოსწავლეთა შეფასების შესახებ.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ შეფასებისათვის აქტიურად იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მოსწავლეთა ავტონომიურობის ფორმირებისათვის გათვალისწინებული აქვთ, თუ რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. ავტორიზაციის მხარდამჭერი ჯგუფის ქოუჩინგისას მასწავლებლებმა შექმნეს ,,ახალი სკოლის მოდელის „პრინციპებით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მომავალ წელს იქნება აქტიურად გამოყენებული.**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლა კურუკულუმით მუშაობას ახორციელებს 2021 წლიდან, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, პარალელური კლასების პედაგოგები ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ და აანალიზებენ მიმდინარე პროცესს, გამოკვეთენ საჭიროებებს და ერთობლივად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან პედაგოგები ანალიზს გააფორმებენ დოკუმენტალურად, რაც დაეხმარება უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. შექმნიან ანალიზის ფორმას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების პროგრესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ისინი ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ანალიზში კარგად ჩანს ის უპირატესობები ან ნაკლოვანებები, რაც თან ახლდა სასწავლო პროცესს. მსგავსი მიდგომა უმნიშვნლოვანესია, ეტაპობრივი, ორგანიზებული სწავლება, რადგან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც გონებრივი ვითარდება ეტაპოვბრივად და ჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა. **ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- ინდ.გეგემები
- შეფასების რუბრიკები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბუნებისმეტყველო - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საბაზო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს ექნებათ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ მოხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემული მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მაგ.: „წყნარი ოკეანის დაბინძურება“ (გეოგრაფია); „გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ (მოქალაქოება) VII კლასში იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; უცხოური ენების საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალებები: პოსტერის მომზადება თემაზე „ ჩემი არდადეგები"; ალბომის შექმნა თემაზე „ ჩემი მოგზაურობა". აღსანიშნავია საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებები მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი,სასურველია კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობის გაზრდა. კათედრები ხელმძღვანელობენ გრიფირებული სახელმძღვანელოებით, რომლებშიც მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები. განხორციელებული პროექტები, ვიქტორინები, ოლიმპიადები , სპექტაკლები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. გამოწვევის დასაძლევად კოლეგები უფრო აქტიურად თანამშრომლობენ, მომავალში კიდევ გაეცნობიან ლიტერატურას, დაესწრებიან ტრენინგ-მოდულებს და გაუზიარებენ გამოცდილებებს ერთმანეთს.

სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცას სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი, შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, ასევე სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტთან.**

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლისთვის არის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. ასევე მოცემული თემები სთავაზობენ მოსწავლეებს აზრიან, შინაარსიან კონტექსტებს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას .სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგებს შეაქვთ ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებული დავალებები, რათა შეძლონ მიღებული ცოდნის ტრანსფერის განხორციელება. ახალი მასალა მოსწავლეებს სათანადო დამუშავების გარეშე არ მიეწოდება, მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ ახალი ცოდნის მიღებას ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, რათა გაუადვილდეს ახალი მასალის ათვისება, ახალი სასწავლო წლისათვის კომპლექსური დავალებების აქტივობებს იმგვარად დაგეგმავენ, რომ მოხდეს სათანადო ცოდნის ახალ ცოდნად გარდაქმნა. **ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალებაზე მუშაობის პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან, ახდენს რეფლექსიას მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და

გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს მოცემული დავალების შესასრულებლად მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. შემდგომ კი ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები წარმოადგენს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც(დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს(პროცედურული ცოდნა) და დასკვნით ეტაპზე ახდენს ცოდნის მოქმედებაში გადატანას ქმნის საბოლოო პროდუქტს. მაგალითად საბაზო საფეხურის რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგ კომპლექსური ბუნების დავალება:პრეზენტაცია თემაზე „ვუთხრათ დაავადებას არა“. აღსანიშნავია საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებები მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი,სასურველია კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობის გაზრდა. კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით, რომლებშიც მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები. კათედრაზე განხორციელებული პროექტები,ვიქტორინები, ოლიმპიადები , სპექტაკლები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, სპორტის გაკვეთილები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ბავშვები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების

გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. მოსწავლეები იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ანვითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხვორების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. რადგან შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას , რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული ინტეგრირებული და სხვადასხვა პროექტების განხორციელების შესახებ. განხორციელებული დავალებები ორიენტირებულია პირობისეული ცოდნის მიღებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე, ავტორიზაციის მხარდამჭერი ჯგუფისა და ქოუჩების დახმარებით ნაწილობრივ შემუშავებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა ცოდნათა ურთიერდაკავშირებისა და ორგანიზების საშუალებას. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპლექსური დავალების ბარათები
- შეფასების რუბრიკები

საბაზო საფეხურის კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი მეტწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. არის თემები ,რომელთა ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და ასევე თემები რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება ინტეგრირებულად. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.ამას ადასტურებს გაანალიზებული ესთეტიკის კათედრის ორი მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობას ქმნის. სამომავლოდ იგეგმება კომპლექსური დავალების რეფლექსიის ფორმის დახვეწა, რაც მისასალმებელია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნიმუშებად წარმოდგენილია თითო თემა და აქტივობები ამ თემის ფარგლებში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალი სკოლის მოდელის მიხედვით სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2.2.2.2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და კათედრების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა,რომ მასწავლებლები ხელას უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. სკოლას აქვს ,,კვირის გეგმის'' გამოყენების პრაქტიკაც, რომელშიც მოსწავლე გეგმავს სამუშაოს, ახორციელებს მონიტორინგს საკუთარ საქმიანობაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეში იდენტობის შეგრძნებასა და ავტონომიურობის განვითარებას.

საბაზო საფეხურის მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის მათ დაამუშავეს სოციალური პროექტი. მაგ. ქართული ენის კათედრასთან ერთად შეიმუშავეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტი თემაზე „ბულინგი“. ამ გზით მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, უვითარდებათ კომინიკაციის უნარ - ჩვევები და ემპათია ადამიანების მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. რის საფუძველსაც იძლევა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. ასევე აღსანიშნავია საგნობრივ კურიკულიმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა განმავითარებელი შეფასებები გახდება ერთ-ერთი ინსტრუმენტი. სასურველია კათედრამ შეადგინოს ყველა კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასებებით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი. ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლას ნაწილობრივ განსაზღვრული აქვს ინსტრუმენტები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დასანერგად. ავტორიზაციის მხადამჭერ ექსპერტთა დახმარებით შემუშავებული გვაქვს კონცეპტუალური ჩარჩოები საგნობრივი კურიკულემებისათვის, ასევე საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას განსაზღვრული აქვთ შეფასების რომელი მოდელით აპირებენ მუშაობას, ასევე განსაზღვრულია დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი.**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაშიც მათ ეხმარება მკაფიოდ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები,რომელიც მოსწავლეებისსათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული ,ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. შეფასების რუბრიკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცნობისას და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასების რუბრიკების იმუშავებენ საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისად, რა შეფასებას ვალიდულს ხდის. სანდოობა იმით დასტურდება, რომ შერჩეულია გაზომვადი კრიტერიუმები. სამართლიანობა დასტურდება ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ შეფასები რუბრიკების შედგენაზე და მათთვის ცნობილია ის კრიტერიუმები რის საფუძველზეც ისინი ფასდებიან. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ინსტრუმენტებს წარმოადგენს კომბინირებული შემაჯამებელი დავალებები. რომელიც ადგენს სწავლის შედეგის ხარისხს. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის. სასურველია კათედრამ ეტაპობრივად შექმნას კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა დავალებისთვის. სკოლას აქვს გამოცდილება სადიაგნოსტიკო შეფასების. კათედრა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს ორჯერ ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, კერძოდ : კურიკულუმი; კომპლექსური ბუნების დავალებები; სასწავლო პროექტები; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. ხარისხის მართვის ჯგუფი. სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა, რომლებზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლაში არ არის სპორტში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ცალკე დოკუმენტად, მაგრამ განიხილება, შიდა სასკოლო ფესტივალებზე, პრეზენტაციებზე და შემაჯამებელი აქტივობების შედეგების ანალიზი. შეფასება ხდება იმ სამიზნე ცნებებზე დაკვირვებით, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემლი. ასევე გათვალისწინებულია ქვეცნებები, ქვესაკითხები. ანალიზი კეთდება თუ როგორია პროგრესი და ამ ყველაფერზე დაკვირვებით, ჩანიშვნით ვიღებთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტურ შეფასების სისტემას. **ვიზიტის პერიოდში სკოლამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი -წესი (შესრულების ვადა 31.08.2023)</u>

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას საჭირო ვადით. სასწავლო წლის ბოლოს კლასის დამრიგებლებს საგნის მასწავლებლებისგან შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლის პირად საქმეში შეაქვს მოსწავლის მონაცემები. რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლის დოკუმენტის „შეფასების სისტემის შესახებ“ თანახმად, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალები შენახვა უვადოდ).

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მეთორმეტე რესურსი-ოქმი
- რეფლექსიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების მასალები
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსიები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. სკოლაში არსებობს და მყარადაა შენარჩუნებული საზოგადოების განსხვავებული წევრების მიმღებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სსსმ მოსწავლეებზე, რომელთაც სთავაზობენ ადაპტირებულ სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროგრამებს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი სასწავლო გარემოს შექმნას.პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. ერთმანეთის მხარდაჭერით ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და აქტივობები, სადაც ყველანი ჩართულნი არიან თავისი უნარების, სურვილების, ინტერესების და შესაძლებლობის შესაბამისად. თითოეულ მათგანს თამამად შეუძლია წარმოქვან თავიანთი აზრი, შეაჯერონ და გამოიტანოს შეთანხმებული გადაწყვეტილება.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სკოლაში ფუნქციონირებს ინტელექტუალთა კლუბი „რა, სად, როდის“ სადაც მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას, ახდენენ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას; მართავენ შემეცნებით კონფერენციებს და აანალიზებენ თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებს. ასევე სკოლაში სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი. ასევე ნერგავენ პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენაც. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი იმის განსაზღვრისას , თუ როგორ, როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ამის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები. ასევე აღსანიშნავია ინტეგრირებული პროექტები, ოლიმპიადები, ვიქტორინები და სპექტაკლები; ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობით კულტურა. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აერთიანებთ საერთო ღირებულებები და ინტერესები და ყველა პროცესი სკოლაში ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. უზრუნველყოფილია სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნა. თავისუფლად გამოხატვენ თავიანთ აზრებს და გადაწყვეტილებას ერთობლივად და შეჯერებულად იღებენ. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ტარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. მაგ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ ქართულის კათედრასთან ერთად იმუშავა პორექტზე ბულინგთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სკოლას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების, სოციალურ-ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში. სპორტის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიური განწყობის შენარჩუნება. მასწავლებლები კარგად ახერხებენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული ფესტივალების ორგაიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლა მისდევს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი, რომლებიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარებიან, წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას,უშუალოდ კომპლექსურების განხორციელებისას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი გეგმის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შემუშავებასა და დანერგვას, რისთვისაც შექმნილია სამუშაო ჯგუფი.**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მხარდაჭარა მასწავლებელთა შორის მიმდინარეობს რეფლექსიების ანალიზის საფუძველზე.საბაზო საფეხურზე პედაგოგები იყენებენ განმსაზღვრელ, ზეპირ, წერილობით და სწრაფ (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები) განმავითარებელ შეფასებას,მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. სასურველია ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც იყოს წაროდგენილი მტკიცებულებების სახით . მომავალი წლისთვის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში შეტანილი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო-დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებით ხელი შეეწყობა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას და შეიქმნება კონკრეტულად გაწერილი უკუკავშირები.**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. საბაზო საფეხურის მასწავლებლები, პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდგომ გეგმავენ კონკრეტულ ღონისძიებების გატარებას მომდევნო სასწავლო წლისთვის. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. მასწავლებლებთან პირისპირ საუბარში გაირკვა, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასებისას მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასება და მონიტორინგი ტარდება მოსწავლეების შედეგების და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, როგორც დადებითი მხარეების აღმოსაჩენად, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში ხარვეზების გამოსავლენად. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მასწავლებლებები ერთმანეთთან თანამშრომლობით ადგენენ პრობლემების წარმოშობის მიზეზებს და ერთობლივად იგეგმება ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიები
- მონიტორინგის დოკუმენტაცია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები
- შეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს, რომელიც შაემცირებს შეფასებისას შეცდომის დაშვების ალბათობას და უზრუნველყოფს სრული სურათის მიღებას. სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლსაო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან: მოსწავლე,თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. (განმავითარებელი შეფასება). მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, განმსაზღვრელი შეფასებითაც. შეფასების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ

გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე არის დამოუკიდებელი ინდივიდი და თავად არიან საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორები. მასწავლებლები მოტივირებულნი არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. კათედრას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა და გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტირების ორჯერ ჩატარებას. **ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია.**

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა იგი არ აძლევს შესაძლებლობას მასწავლებლებს სრულად გაითვალისწინონ და გამოკვეთონ მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ რუბრუკები კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასებისთვის; სოლო ტაქსონომიის განმავითარებები შეფასების რუბრიკა; სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკა(პრეზენტაციის,წერის,ჯგუფური შეფასების); მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა. სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებს, რაც შეფასებისასდმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. საბაზო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები.მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გამუჯობესებაში. მნიშვნელოვანია შეგროვებისას გავითვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმას უზრუნველყოფს. კათედრებს აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა და გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტირების ორჯერ ჩატარებას. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას. მაგ. სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის

შესაბამისი რეფლექსიები, რომელთა ანალიზის საფუძველზე დგინდება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. ახალ კურიკულუმში მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებისათვის გაიწერება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმი. კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგებმა დაასახელეს შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები: დაკვირვება, შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება.**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორების, აფექტური ფაქტორების, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით. ირკვევა წარმოდგენილი მასალებიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ შეფასების სისტება აუცილებლად უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და ამის უზრუნველსაყოფად მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებლი აკეთებს სისტემატიურ ჩანაწერს მოსწავლეზე, იყენებენ სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკებს. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს, მოსწავლეების შეფასება ხდება არა მარტო საგაკვეთილო პროცესში არამედ არაფორმარულ გარემოში, კერძოდ პროექტების,კონკურსების ფარგლებში ,რომელთა დაკვირვების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. კათედრებს აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა და გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტირების ორჯერ ჩატარებას. **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმიები
- მონიტორინგის დოკუმენტაცია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, და კათედრის წევრებმაც დაადასტურეს გასაუბრების დროს, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან და მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების გაანალიზება, თუ როგორია მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი შედეგები, ასევე მშობელთა ჩართულობის, კათედრების მუშაობის, სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული მასწავლებელის მუშაობის შედეგების მიხედვით. დგინდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. მონაცემების გაანალიზების და შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს კი ითვალისწინებენ ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და კურიკულუმის შესამუშავებლად და ითვალისწინებენ სამოქმედო გეგმის შედგენის დროსაც. **ინდიკატორი 2.4.1.1დაკმაყოფილებულია.**

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

საბაზო საფეხურზე, კათედრები საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას ეყრდნობიან წინარე გამოცდილებას. კათედრის წევრები საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას უზიარებენ სასწავლო წლის მანძილზე მიღებულ გამოცდილებას და მსჯელობენ თუ როგორ გამოიყენონ ეს გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის.მიღებული დასკვნების საფუძველზე ქმნიან ახალ საგნობრივ კურიკულუმს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.4 .1.2.შესაბამისობაშია სტანდართან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მონიტორინგის დოკუმენტაცია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- კათედრის ოქმები

შეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2 - საშუალო საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -საშუალო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	☐ **შეესაბამება**

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; ამის საფუძველს იძლევა კათედრების მიერ გაზიარებული პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრები წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებს და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს. ასევე კათედრაზე გეგმავენ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით მოსწავლეების პროგრესის ხელშესაწყობად პროექტებს, ოლიმპიადებს, კონკურსებს, სპექტაკლებს. კათედრა მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსებში. კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით.

აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, სოციალური ქსელი) მეთოდით. საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ერთგვარი ციკლური პროცესია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის შემუშავებას, მის დანერგავ-რეალიზებას. გარკვრულ მონიტორინგსა და შეფასებას, შემდეგ კი მის გადასინჯვასა და რევიზიას, პირველ ეტაპზე იკვეთება პრიორიტეტული თემები, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ყალიბდება პირველადი ჩარჩო , ეტაპობრივად გაიწერება კურიკულუმის საკვანძო ერთეულები,რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება, ფაქტობრივად, ეყრდნობა კოლეგებთან ერთად კურიკულუმის განხილვას, კოლეგების უკუკავშირს, რეფლექსიებს, მკაფიოდ გაწერილ რჩევა-რეკომენდაციებსა და რეგულაციებს.**ინდიკატორი 2.1.1.1 . შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კათედრებზე კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა სურვილების და მათი ინტერესის გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვისაც გეგმავენ საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. სკოლა ყოველწლიურად ქმნის ახალ კურიკულუმს სადაც ასახავს წლის გამოცდილებას. საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს კერძოდ, მასწავლებლებს რას, როგორ, რაზე დაყრდნობით ასწავლიან, მოსწავლეებს/მშობლებს რას , როგორ რის საფუძველზე შეისწავლიან.

ინდიკატორი2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტს

2.1.1.3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სასკოლო კურიკულუმი ძირითადად მუშავდება კათედრებზე, მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების რაოდენობა განსაზღვრეს შეთანხმებულად, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებული ზეპირი უკუკავშირის გზით. ამ ეტაპზე კურიკულუმები შედგენილია საშუალო საფეხურის მხოლოდ მე-10 კლასში. იმ საგნებში რომლებშიც ახალი სახლმძღვანელოების მიღების მოლოდინია კურიკულუმები მე-11, მე-12 კლასებში მოგვიანებით, წიგნების მიღებისთანავე შემუშავდება. კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურადაა ჩართული საშუალო საფეხურის წარმომადგენელი პედაგოგები,თითოეულ მათგანს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლას. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროცესში, აქტიური უკუკავშირი მათთან. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, კათედრების მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში. აღსანიშნავია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ისინი მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტს**

2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამებს, იღებენ უკუკავშირს და შეაქვთ ცვლილებები. სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ მიზნით და სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: Microsoft Teams პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, სკოლის ოფიციალური escool.emis.ge ვებ-გვერდი, სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/pages/145- მესენჯერ ჯგუფები, მშობელთა კრება, საჯარო შეხვედრები.ტარედება მშობელთა გამოკითხვა, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. პედაგოგების თქმით, მომდევნო სასწავლო წლიდან ეს პროცესი მიიღებს მასშტაბურ ხასიათს. გამოწვევად რჩება სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ სივრცეში უფრო აქტიურად იქნას გაზიარებული ყოველი მასწავლებლის მიერ განხორციელებული კურიკულუმები, სასწავლო პროექტები და არ დარჩეს ეს გაზიარება კონკრეტული ჯგუფების არეალში. უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს . ამ მიზნით იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება.

ინდიკატორი2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მტკიცებულებები:

- კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის სხდომის ოქმები (ანგარიშები)
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობის კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა,

ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მაგალითად საშუალო საფეხურის ფრანგული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ტიპის დავალება შეადგინე საინფორმაციო ბუკლეტი სწორი კვების შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება მენიუ და რჩევები შენი ქართველი და უცხოელი თანატოლებისათვის, თუ როგორ იკვებონ ჯანსაღად. წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, სავალდებულო თემების საშუალების, შედეგების, სამიზნე ცნებების და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს რა გრძელვადიანი მიზნით უნდა ასწალონ მოსწავლეს. დაგეგმილი და და შესაბამისად ამ გეგმის მიხედვით კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროსაც დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც, სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო -ცხრილებში განსაზღვრულია ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა. საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერების კურიკულუმი (X კლასი) მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში -სამიზნე ცნებები. მაგალითად, თემაში „გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები“ ორი კომპლექსური დავალების „დაბერების პროცესი იაპონიაში“ და „ვერტიკალური სოფლის მეურნეობა საქართველოში“ დანერგვის შედეგად, მუშავდება გეოგრაგიის სამივე სამიზნე ცნება: „მოსახლეობა და მეურნეობა’, „გეოგრაფიული გარს“ი და „მდგრადი განვითარება“. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას,იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. აღსანიშნავია საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებები ძალიან მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი,სასურველია კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობის გაზრდა. კათედრები ხელმძღვანელობენ გრიფირებული სახელმძღვანელოებით, რომლებშიც უხვადაა კომპლექსური ბუნების დავალებები. **ინდიკატორი 2.1.2.2, შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს შესთავაზებენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება. შესაძლებლობებით. სამომავლოდ, როდესაც სსსმ მოსწავლეები საშუალო საფეხურზე გადმოინაცვლებენ, იგეგმება სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ადაპტირებული დავალებებისა და მათზე მორგებული პროექტების ბანკის შექმნა კათედრების ურთიერთთანამშრომლობით. სკოლას აქვს მრავალფეროვანი რესურსები სსსმ მოსწავლისთვის. საშუალო საფეხურზე საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან თანამშრომლობით შეიქმნება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია სტანდარტთან**

2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და კათედრების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების ნიმუში (მხოლოდ ერთი ეგზემპლარი), ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური ბუნების დავალებები გვეხმარება დავინახოთ თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე გვაჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ უზიარებენ კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაგვიზიარა პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების (დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს :ტექსტი, სამეტყველო ქმედებას , ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი.) საფუძველზე მოსწავლეთა შეფასების შესახებ.

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და შემაჯამებლების ანალიზით ჩანს, რომ კათედრები ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილებას და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების,დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების,მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები. მათი გაანალიზების საფუძველზე გამოიყოფა გასაუმჯობესებელი და პრობლემური საკითხები. შემდეგ პედაგოგები ადგენენ წარმოშობილი პრობლემების მიზეზებს. პოულობენ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს, მეთოდებს, საშუალებებს. მომდევნო სასწავლო წლისათის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ ამ ანალიზის დასკვნებს, მიგნებებს. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ეს პროცესები გაწერილია წარმოდგენილ დოკუმენტებშიც.

ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- 2022-2023-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემული მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რის შესაძლებლობას იძლევა საგნობრივ კურიკულუმში მოცემული საინტერესო თემები და შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები. ეს დაველებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა , ფიქრის,მსჯელობის,პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. აღსანიშნავია საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებები მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი. **რჩევა უცხო ენის საგნობრივი ექსპერტისგან** <u>სასურველია კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობის გაზრდა.</u>

კათედრები ხელმძღვანელობენ გრიფირებული სახელმძღვანელოებით, რომლებშიც მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები. კათედრებზე განხორციელებული პროექტები, ვიქტორინები, ოლიმპიადები , სპექტაკლები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. განხორციელებული კომპლექსური დავალება,სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები, ინტეგტირებული გაკვეთილები და სხვა აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას,წინარე ცოდნაზე ახლის დაფუძნებას.სასწავლო პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. **კრიტერიუმი 2.2.1.1.შეესაბამება სტანდარტს.**

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლისთვის არის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. ასევე მოცემული თემები სთავაზობენ მოსწავლეებს აზრიან, შინაარსიან კონტექსტებს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის. მასწავლებლებმა გასაუბრებისას საგნობრივ ექსპერტებს გაუზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება , ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას , გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს , თემას , ეძიებენ შესაბამის რესურსებს- მა. ქართულ ენაში, ე-12 კლასისათვის დაგეგმილი აქვთ რამდენიმე ნაწარმოებთან მიმართებით აჩვენონ ამონარიდები ქართული მხატვრული ფილმებიდან და პარალელების სახით შეიტანონ ქართული და უცხოური ლიტერატურის ნიმუშები. სპორტში კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. მსგავსი ტიპის მიდგომა სპორტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტურია დროის მონაკვეთში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად წარმოდგენილი მასალები **ადასტურებს ინდიკატორთან 2.2.1.2. შესაბამისობას.**

2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სიღრმისეული სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია. კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია მიმართულებები და თემები. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლის მიღმა უამრავ საგანმანათლებლო აქტივობაში იღებენ მონაწილეობას,როგორიცაა კვლევითი ექსპედიციები, მუზეუმები, თეატრი და ა.შ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმილი სხვადასხვა ტიპის პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეების განვითარებას და მათ მომზადებას რეალური ცხოვრებისთვის. სასწავლო პროცესში პედაგოგები მოსწავლეებს ეხმარებიან სწავლის სტრატეგიების დაუფლებაში. უვითარებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვისთვის. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. დავალებაზე მუშაობის პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან, ახდენს რეფლექსიას მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა საგნებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას. როგორც უკვე აღინიშნა, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც(დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს(პროცედურული ცოდნა) და დასკვნით ეტაპზე ახდენს ცოდნის მოქმედებაში გადატანას ქმნის საბოლოო პროდუქტს. აღსანიშნავია საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებები ძალიან მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი. **რჩევა უცხო ენის საგნობრივი ექსპერტისგან** <u>: სასურველია კომპლექსური ბუნების დავალებების რაოდენობის გაზრდა.</u>

ქართულ ენის კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური მატრიცა (მე-10 კლასი) ასახავს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას,მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თემატური მატრიცია განხორციელებისას ცოდნის სამივე კატეგორია იფარება,სასწავლო აქტივობები უკავშირდება რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. **რჩევა სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტისგან:** <u>კათედრის წევრებმა სექტემბრამდე პერიოდში დახვეწონ მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო,ისე,რომ ჩანდეს გრძელავდიან მიზნებზე ორიენტირება ,ასევე შეიმუშავონ მე-11 კლასის კურიკულუმი და კომპლექსური დავალებებით გადაფრონ ცოდნის სამივე კატეგორია.</u> **2.2.1.4 ინდიკატორით შეესაბამება სტანდარტს**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.6.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს , თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. რადგან შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას , რაც ამ მიმართულებით რელევანტურია , ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული ინტეგრირებული და სხვადასხვა პროექტების (ოლიმპიადები,ვიქტორინები,კონკურსები, კონფერენციები) განხორციელების შესახებ. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**ინდიკატორი 2.2. 1.5 შეესაბამებ სტანდარტს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- 2022-2023-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების მასალები
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს , საკვანძო შეკითხვებს შორის.ამას ადასტურებს გაანალიზებული საგნობრივი კურიკულუმები. გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობას ქმნის. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) X კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, კერძოდ, სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ სავალდებულო თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ნათლად ჩანს სამიზნე ცნების, ქვეცნებისა (კერძო) და საგნობრივი საკითხის ურთიერთკავშირი. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით რაც შეეხება საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს, ვინაიდან პედაგოგებს ჯერ არ აქვთ გრიფირებული სახელმძღვანელოები და იგი ექნებათ დაახლოებით ერთ თვეში, 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე მას აუცილებლად გაწერენ. **ინდიკატორი 2.2.2.1 შეესაბამება სტანდარტს**

22.2..2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლები ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს. თითოეული დაგეგმილი კომპლექსური დავალება ან სასწავლო პროექტი გათვლილია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში აქტიურად ჩართვისთვის.საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია კათედრაზე პროექტების, საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა. პედაგოგთა მიერ პროექტი იმგვარადაა შერჩეული,რომ ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებაში. ეს კი უშუალოდ პროექტის მიზანია, მასში ხომ ყველაზე მეტად ვითარდება გლობალურ-ფუნქციური 6 უნარი, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. პროექტში მოცემული საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული. **ინდიკატორი 2.2.2.2. ,შეესაბამება სტანდარტს**

2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რის საფუძველსაც იძლევა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. ასევე აღსანიშნავია საგნობრივ კურიკულიმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა განმავითარებელი შეფასებები გახდება ერთ-ერთი ინსტრუმენტი. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასებებით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი. ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ინსტრუმენტებს წარმოადგენს კომბინირებული შემაჯამებელი დავალებები.რომელიც ადგენს სწავლის შედეგის ხარისხს. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის. სასურველია კათედრამ ეტაპობრივად შექმნას კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა დავალებისთვის. სკოლას აქვს გამოცდილება სადიაგნოსტიკო შეფასების. **ინდიკატორი 2.2.2.4 შეესაბამება სტანდარტს**

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი. კერძოდ: კურიკულუმი; კომპლექსური ბუნების დავალებები; სასწავლო პროექტები; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია. ვერიფიკაციის განსახორციელებლად სკოლას დრო და რესურსები სჭირდებათ, ამიტომ მომავალში ამ მხრივ დაიგეგმება მუშაობა, რადგანაც ამ ეტაპზე სკოლა დგამს პირველ ნაბიჯებს ამ მიმართულებით და ბევრი რამ პროცესში გახდება ნათელი. **ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის** მექანიზმები

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი -წესი (შესრულების ვადა 31.08.2023)</u>

ინდიკატორი 2.2.2.4 შეესაბამება სტანდარტს.

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა იმ დროით, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრებისა და პროექტების პორტფოლიოებში შენახვას, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. სკოლის დოკუმენტის „შეფასების სისტემის შესახებ“ თანახმად, ყველა ტიპის დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალები შენახვა უვადოდ). **ინდიკატორი 2.2.2.6 ადასტურებს შესაბამისობა სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების მასალები
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია
- მასწავლებლის თვითშეფასების რეფლექსია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, შექმნილია პოზიტიური გარემო. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო რომლის მაგალითებს წარმოადგენს შემდეგი: საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია საინტერესო თემები, შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, მრავალფეროვანი რესურსები; ასევე აღსანიშნავია კათედრაზე ოლიმიადების, ვიქტორინების, სპექტაკლების განხორციელების პრაქტიკა. ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან.

2.2.3.1.ინდიკატორით დასტურდება შესაბამისობა

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სკოლაში ფუნქციონირებს ინტელექტუალთა კლუბი „რა, სად, როდის“ სადაც მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას, ახდენენ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას; მართავენ შემეცნებით კონფერენციებს და აანალიზებენ თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებს. ასევე სკოლაში სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი. ასევე ნერგავენ პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენაც. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი იმის განსაზღვრისას , თუ როგორ, როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ამის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები. ასევე აღსანიშნავია ინტეგრირებული პროექტები, ოლიმპიადები, ვიქტორინები და სპექტაკლები; ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობით კულტურა. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აერთიანებთ საერთო ღირებულებები და ინტერესები და ყველა პროცესი სკოლაში ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. უზრუნველყოფილია სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნა. თავისუფლად გამოხატვენ თავიანთ აზრებს და გადაწყვეტილებას ერთობლივად და შეჯერებულად იღებენ. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ტარდება საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთვებიან ასეთ აქტივობებში. მაგ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ ქართულის კათედრასთან ერთად იმუშავა პორექტზე ბულინგთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

2.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კარგად ჩანს თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. კათედრები თანამშრომლობს ერთმანეთთან, ტარდება საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რის მაგალითს წარმოადგენს სკოლაში-კათედრის გუნდურობა. კლასში კი საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ; პროექტები; მოსწავლეთა წახალისების მეთოდები(მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები)და აშ.

სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ნდობაზე, ერთმანეთის პატივისცემაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, სკოლის ასევე კლასის დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4.შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების

- . შინაგანაწესი
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლა მისდევს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი.სკოლაში ფუნქციონერებს ხარისხის ჯგუფი, რომელიც აქტიურადა ჩართული მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, ნაშრომის წარდგენის დროს მოსწავლეები აჯამებენ მუშაობის პროცესს სიტყვიერად აკეთებენ რეფლექსიას, რამდენად შეესაბამებოდა განხორციელებული აქტივობები დაგეგმილს, რა გაუჭირდათ . მასწავლებლები კოლეგებთან განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას მომავალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი 2.3.1.1.შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ამჟამად ძირითადად ეს მხარდაჭარა მასწავლებელთა შორის მიმდინარეობს რეფლექსიების ანალიზის საფუძველზე. მომავალი წლისთვის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში შეტანილი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო-დოკუმენტის ანალიზის

საფუძველზე გამოტანილი დასკვნებით ხელი შეეწყობა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას და გვქონდეს კონკრეტულად გაწერილი უკუკავშირები. ამ ეტაპისთვის კი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოვლენა. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების ანალიზის საფუძველზე მოხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება. მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის . სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა . არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. **ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია.**

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სასწავლო პროცესს იშვიათად, მაგრამ მაინც ახასიათებს პრობლემების წარმოქმნა. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები მიმართვენ სხვადასხვა ხერხს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასება და მონიტორინგი ტარდება მოსწავლეების შედეგების და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, როგორც დადებითი მხარეების აღმოსაჩენად, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში ხარვეზების გამოსავლენად. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მასწავლებლებები ერთმანეთთან თანამშრომლობით ადგენენ პრობლემების წარმოშობის მიზეზებს და ერთობლივად იგეგმება ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში
- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ სკოლა 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში საშუალო საფეხურისთვის შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს, რომელიც შაემცირებს შეფასებისას შეცდომის დაშვების ალბათობას და უზრუნველყოფს სრული სურათის მიღებას. სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლსაო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან. მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი. საშუალო საფეხურის კათედრებს აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა და გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტირების ორჯერ ჩატარებას. მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გეგმავენ დაეყრდნონ წინა წლის გამოცდილებას, გააზრებული აქვრ, რომ ეს დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. ასევე იაზრებენ, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვაში პასუხისმგებლობის გადანაწილება სასკოლო საზოგადოებაზე. **ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია.**

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, დისკუსია, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება), ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რისთვისაც მათ მიერ შემუშავებული იქნება შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო კურიკულუმი მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამ მხრივ გასათვალისწინებელია მრავალი კონტექსტი როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების მრავალი სასკოლო პროექტი ხორციელდება, ამ ეტაპზე სკოლაში არ არსებობს რაიმე სახის სპეციალური შეფასების სისტემა და ინდიკატორი, რომლის დანერგვაც იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასების სისტემაც. როგორც ინტერვიუდან ჩანს, შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და სხვა. ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები შეფასებას ახოციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ესენია ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგი, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რაზეც დაკვირვება შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში. **ინდიკატორი 2.3.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2.3.2.4. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას. მაგ. სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის შესაბამისი რეფლექსიები, რომელთა ანალიზის საფუძველზე დგინდება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. ახალ კურიკულუმში მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებისათვის გაიწერება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმი. საშუალო საფეხურის კათედრების წევრებთან საუბრისას პედაგოგებმა დაასახელეს შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები: დაკვირვება, შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება.**ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორების, აფექტური ფაქტორების, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით. ირკვევა წარმოდგენილი მასალებიდან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვდეს სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. შეფასების სისტემა აუცილებლად უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და ამის უზრუნველსაყოფად მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებლი აკეთებს სისტემატიურ ჩანაწერს მოსწავლეზე, იყენებენ სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკებს. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მოსწავლეთა შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი 2.3.2.4.შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- 2022-2023-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების მასალები
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლის პორტფოლიოს რეფლექსია
- შეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ამ ეტაპზე არ აქვთ, თუმცა ინტერვიუსა და თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლაში შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც გაითვალსიწინებს დაგროვილი გამოცდილების ანალიზს. რათა ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდეს განვლილი პროცესების გაანალიზება, სხვა განხორციელებული აქტივობების

განხილვა. მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. სასწავლო პროცესში გაგრძელდება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება. გეგმავენ აქტიურად გამოიყენონ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს, რაც ეხმარება კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს წარმოქმნილი ტიპური პრობლემების გამოკვეთასა და ანალიზში. ამ ეტაპზე კათედრები საგნობრივი კურიკულუმის განვითარებასა და საჭიროებების დადგენას ყოველდღიური მოსწავლეთა და საკუთარი პრაქტიკის დაკვირვებების საფუძველზე, ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის შეფასებით ახდენენ. **ინდიკატორი 2.4.1.1.დაკმაყოფილებულია.**

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს საშუალო საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის მონაცემებს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისათვის. კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. სკოლის განმარტებით, სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- 2022-2023-ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 10. 11. 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიღელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: